




ახალი განათლება

17 - 23 მარტი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№11 (725) ბაზრის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გვერდი 4

„არ შეიძლება სული შეღები მხოლოდ მასწავლებლის კასუსისგან დასწავლად ვაქციოთ“

„მინდა გამოვჩინო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებულ მოციურ განცხადებებს!

პირველ რიგში, მივმართავ მშობლებს, ნუ გამოიწვევენ მათ არასასურველი განწყობების სამართავად, რადგან მასწავლებელს აფასებს გამოცდილი ადამიანების ჯგუფი, რომელთათვისაც სერტიფიცირება ვახლავთ ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპონენტი. შესაძლებელია სწორედ გამოცდაჩაბარებული მასწავლებელი აღმოჩნდეს ძალიან სავალალო საგანმანათლებლო სივრცისთვის.

ასევე მივმართავ თხოვნი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც არ არის განათლების სფეროს სპეციალისტი, ნუ მისცემთ თავს ყველაფრის თქმისა და გამოხატვის უფლებას, რადგან არსებული გარემოების გამოწვევი მიზეზი ძალიან კომპლექსურია – ასე ეხმაურება 24 -ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი, **სოფიო მშვილდაძე** მასწავლებელთა გამოცდების შედეგებით გამოწვეულ აჟიოტაჟს. სოფიო იმ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც იანვარში ჩატარებული გამოცდა ვერ ჩააბარა, თუმცა, მისი ასეთი შედეგის ჩვენების ერთადერთი მიზეზი ტესტის სირთულე არაა (როგორც ამას „ჩაჭრილი“ მასწავლებლების უმეტესობა ასახელებს) და გამოსავალი – დამალვა.

თემა რომ ძალიან აქტუალური და უმნიშვნელოვანესია, ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვლინდება. ქვეყნის განათლების სისტემა ნებისმიერ სფეროზე რომ აირეკლება, ესეც თვალნათლივ

ჩანს, ქვეყანაში, ზოგადად, პროფესიონალების დეფიციტია. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **თამარ სანიკიძის** აღიარებამ: „შედეგი სახარბიელო არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე, უკეთესის მოლოდინი ნამდვილად არ იყო“, საზოგადოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით – ოპონენტები, გააღიზიანა. მინისტრი ამას იმით ხსნის, რომ: „წინა მთავრობიდან მოყოლებული, ეს პრობლემა მუდმივად არსებობს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ შეცვალა მიდგომა – ყველაფერს ვაკეთებთ პედაგოგთა ხელშეწყობისთვის. შეიქმნა ახალი სისტემა, რომელიც მთლიანად მორგებულია პედაგოგების საჭიროებაზე. შარშან შემუშავდა სამოქმედო ჩარჩო. ეს პროცესი რომ წლის წინ დაწყებულიყო, დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა“. სხვა სურათი გვექნებოდა, რომ დაწყებულიყო, მაგრამ დღევანდელი რეალობითა და პროცენტებში გადაყვანილი პარკტიკოსი მასწავლებლების შედეგებით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვერავინ დარჩება, მით უფრო, როცა ეს პროცენტები არ კონკრეტდება, მასწავლებელთა რა რაოდენობის 83-მა პროცენტმა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანაში სულ 45 ათასი პრაქტიკოსი მასწავლებელია, რომელთაგან ნაწილს საგნის კომპეტენცია დადასტურებული აქვს, ნაწილს კი – არა. იანვრის გამოცდაზე დარეგისტრირებული 10 552 პედაგოგიდან გამოცდაზე 6 477 გავიდა, მათგან მხოლოდ 1 101-მა გადალახა ზღვარი, 83%-მა კი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა, ანუ ქულათა 60% ვერ დააგროვა. ეს მონაცემი თავისთავად დაგვაფიქრებს, რატომ ვიღებთ მსგავს შედეგს და რა არის გამოსავალი?

პროფესიული განათლება

რატომ ვერ ვითარდება პროფესიული განათლების სისტემა

გვერდი 5



ბარბი დაკვირვება შეფასების ფუსტი და ობიექტური ინსტრუმენტი

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი ირინა ჭვანია

გვერდი 6

16 მარტიდან მასწავლებლების (კელაგობოზის მსურველთა), საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის და სტუდენტთა საბრანტო კონკურსისათვის რეგისტრაცია იწყება



აპლიკანტებმა რეგისტრაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე უნდა გაიარონ (online.naec.ge; www.naec.gov.ge). რეგისტრაცია 12 აპრილს 18:00 საათზე დასრულდება, თუმცა მაგისტრანტობის კანდიდატს არჩეული ტესტის ტიპის შეცვლა 1 ივნისის 19:00 საათამდე შეეძლება.

საერთო სამაგისტრო გამოცდაზე წელს სიახლეა: შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების რაოდენობა და ნაცვლად 11-ისა, განისაზღვრა 12-ით (მიმართულება „მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა“ გაიყო ორ ნაწილად). ასევე, შესაძლებელი გახდა, რომ უმაღლესმა მასწავლებელმა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებათაშორის დარგების ან სპეციალობების ქვედარგებზე/სპეციალიზაციებზე, მათი შინაარსის გათვალისწინებით, დაადგინოს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის რამდენიმე ტიპი, თუმცა, თითოეული აპლიკანტი კვლავ აბარებს მხოლოდ ერთი ტიპის ტესტს. დეტალური ინსტრუქციის (გზამკვლევი) გაცნობა აპლიკანტს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე შეუძლია.

სიახლეა მასწავლებელთა (პედაგოგობის მსურველთა) გამოცდებზეც – რეგისტრაციის გავლა და გამოცდის ჩაბარება წელს, პირველად, შეეძლება ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებს, ასევე მუსიკისა და სპორტის მასწავლებლებს (პედაგოგობის მსურველებს).

2016 წელს აპლიკანტები გამოცდებს ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩააბარებენ, რაც მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს (აპლიკანტი დავალდება მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს).

ინსტრუქცია (გზამკვლევი) 2016 წელს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის – გვერდი 11

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი



ასხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი კერძო სამართლის კათედრა

- 1 პროფესორი;
- 1 ასოცირებული პროფესორი.

საბუთების მიღება იწარმოებს:

2016 წლის 18 აპრილიდან 2016 წლის 28 აპრილის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 4 მაისს. კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 11 მაისს.

დანვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

ინფორმაცია



საბურთალოს რაიონში, 61-ე საჯარო სკოლის ძველი ავარიული შენობის დემონტაჟი განხორციელდა და მის ნაცვლად, თანამედროვე სტანდარტების სკოლის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო.

თითქმის ერთსაუკუნოვანი სკოლა საბურთალოს რაიონის საკმაოდ დიდი მოცულობის მჭიდროდ დასახლებულ უბანს ემსახურება და შესაბამისად, ახალი მშენებლობაც ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია, რომლის ღირებულება 7 მილიონ ლარზე მეტია.

61-ე საჯარო სკოლის ახალი შენობა, რომელიც 2017-2018 სასწავლო წლიდან შევა ექსპლუატაციაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება – გათბობის სისტემით, შიდა სპორტული და სააქტო დარბაზებით, ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო კლასკაბინეტით; ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მოწყობა პანდუსები, ლიფტი როგორც მთავარ, ასევე სპორტული დარბაზის შესასვლელებში; ადაპტირებული იქნება სველი ნერტილებიც; სკოლას ექნება ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი, აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და ტექნიკით.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ახალი სკოლის მშენებლობის პროექტი განერილია 18 თვეზე. ამ არაჩვე-

ულებრივ პროექტში გათვალისწინებულია ყველა ის სტანდარტი, რომელიც საჭიროა კარგი, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად. სამომავლოდ, თბილისში, ბევრი ასეთი ახალი სკოლა გაჩნდება. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროსაბჭოს ბანკის კრედიტთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე, საუბარი გვაქვს, 22 მილიონ ევროზე, რომელიც თბილისის სკოლების რეაბილიტაციას მოხმარდება ისე, რომ ფუნდამენტურ რეაბილიტაციაში გათვალისწინებული იყოს ენერჯო ეფექტურობა, რაც ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, წინ საინტერესო ზაფხული გვექნება, პირველი ჯგუფი უკვე ზაფხულში ჩამოვა, შეისწავლის და პილოტურ პროექტსაც დაიწყებს. 61-ე სკოლის პარალელურად, რამდენიმე დიდი სკოლის რეაბილიტაციაც დაიწყება. ჩვენ ვიცით, რომ გვაქვს პრობლემა ინფრასტრუქტურაში და ამას ნამდვილად არავინ უარყოფს. სამაგიეროდ, გვექნება ფუნდამენტურად შეკეთებული, კარგი, მდგრადი სკოლები“.

შორენა ლუღუშაური, 61-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „სასიხარულოა, რომ ჩვენი სკოლა ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით შენდება. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ქალაქის ცენტრში ახალი სკოლის აშენების მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა. მოლოდინი თანამედროვე სტანდარტების სკოლის ძალიან დიდია. შენობის დასრულებას წელიწად-ნახევარში ველოდებით. საშუალება გვექნება, 2017 წლის სექტემბერში, ახალი სასწავლო წელი ახალ სკოლაში დავიწყოთ“.



მნიშვნელოვანი შეთავაზება აბიტურიენტებს! გახდი პოლონეთის რესპუბლიკის აკადემიკოსი უნივერსიტეტის სტუდენტი ეროვნული გამოცდების გარეშე

ქვირფასო აბიტურიენტებო!

გეგმავთ შესაძლებლობა, ეროვნული გამოცდების გარეშე დაიწყოთ სწავლა პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ოპოლეს ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის აკადემიკოსულ უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. საბაკალავრო პროგრამა-

ზე სწავლება მიმდინარეობს 3 წელიწადს. ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტში სწავლა საშუალო საშუალებაა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის, ვისაც აქვს სურვილი, მიიღოს ევროპული უმაღლესი განათლება.

ფაკულტეტები

- მართვა
- ეკონომიკა
- ლოჯისტიკა
- ფინანსები და აღრიცხვა
- ადმინისტრირება
- სოციოლოგია
- ფილოლოგია

დაგატავითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ვაჟა-ფშაველას №43/1 (პროფკავშირების შენობა) ოთახი №21 ტელ: 599 21 88 81 ან 571 11 21 21



„ევროპული განათლება ნაწილია თქვენი მომავლის წარმართვის“

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის კონკურსი „სამეფო გვირგვინი“

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი ინვესტ მსურველებს ტრადიციულ კონკურსში „სამეფო გვირგვინი“ მონაწილეობის მისაღებად

კონკურსის მიზანია გამოავლინოს და წაახალისოს ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლეები, გააძლიეროს მათი ორიენტაცია ქრისტიანულ, ეროვნულსა და ტრადიციულ ფასეულობებზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე, ყურადღება გაამახვილოს ქართულ მეფეთა, ღვთისმსახურთა, წმინდანთა, მხედართმთავართა, ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებასა და მემკვიდრეობაზე. კონკურსი ჩატარდება დეკემბრში – „წმინდა, ოჯახი, სკოლა – წარმატებული მოსწავლე“.

კონკურსში მონაწილეობა უფასოა

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საქართველოს თავად-აზნაურთა საპატიო სიგელებით, სამახსოვრო პრინციპებით.

კონკურსი გაიმართება ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში.
მისამართი: თბილისი, ჯვანო ბაგრატიონის №6 (ყოფილი გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის შენობა).
ტელეფონი : 2 38 01 24; 599 42 30 11;
E-mail: nikobagratiioni@gmail.com
www.bagratiioni-liceumi.ge
www.facebook.com/bagratiioni.liceumi.ge

დასკვნითი საზეიმო დაჯილდოება გაიმართება 13 მაისს, 15:00 საათზე, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში.

კონკურსის ფარგლებში გაიმართება შემდეგი ღონისძიებები:

- 1. კონფერენცია** ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, ისტორიაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ღვთისმეტყველებაში (კატეხიზაცია ბიბლიაში), მოცემული თემატიკის მიხედვით (იხ. დანართი, საკონკურსო თემატიკა).
- 2. კალიგრაფიის კონკურსი** (იხ. დანართი, საკონკურსო თემატიკა).
- 3. მხატვართა კონკურსი** (თემატიკა – იხ. კონკურსის მიზნები). თითოეული მონაწილე წარმოადგენს არა უმეტეს 2 ნამუშევარს.
- 4. ქართული ხალხური სიმღერისა და ბალეტის კონკურსი**. თითოეული სკოლა წარმოადგენს არა უმეტეს 2 ნომერს.
- 5. ჭადრაკი საქართველოში** „გუშინ, დღეს, ხვალ“ – შეხვედრა ცნობილ მოჭადრაკესთან, ერთდროული თამაშის სეანსი, ვიქტორინა-კონკურსი.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2016 წ. 2 მაისი. სარეგისტრაციო ფორმა და საკონფერენციო თემა უნდა გამოგზავნოს შემდეგ მისამართზე: nikobagratiioni@gmail.com ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 2 38 01 24; 577 101 107
სარეგისტრაციო ფორმაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, ზემოჩამოთვლილი კონკურსებიდან, რომელ მათგანში იღებთ მონაწილეობას მსურველი. შესაძლებელია ერთმა და იმავე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე კონკურსში.

თემატიკის წარმოდგენის აუცილებელი ფორმა:

- სავალდებულოა თემის ბოლოს მითითებული იყოს გამოყენებული ლიტერატურა;
- თემის თავფურცლის გაფორმების შაბლონი: სკოლა: კლასი: სახელი, გვარი: თემის სათაური: პედაგოგი:
- თემის წარმოდგენა აუცილებელია ელექტრონული ვერსიით დისკზე, შრიფტი – sylfaen 12, ფურცლის ზომა – A4, თემის მოცულობა – 2-3 გვერდი;
- მოსწავლის საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტის მისამართი და ტელეფონი;
- საკონფერენციო თემა წარმოდგენილი უნდა იყოს მითითებული სარეკომენდაციო სიიდან.
ზემოთ აღნიშნული პირობების დაუცველობის შემთხვევაში თემა არ განიხილება კონფერენციაზე.

კონკურსის I დღე 10 მაისი

საგნობრივი კონფერენცია

- მხატვართა და კალიგრაფთა კონკურსი (ექსპოზიციის გახსნა) – 14.00
- ღვთისმეტყველება – 14.00
- ქართული ენა და ლიტერატურა – 15.00
- ინგლისური ენა; ისტორია – 16.00
- მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია – 14.00
- ქართული ხალხური სიმღერისა და ბალეტის კონკურსი – 15.00
- ჭადრაკი საქართველოში „გუშინ, დღეს, ხვალ“ – შეხვედრა ცნობილ მოჭადრაკესთან, ერთდროული თამაშის სეანსი, ვიქტორინა-კონკურსი – 13.00

კონკურსის II დღე 11 მაისი

კონკურსის დასრულება

კონკურსის საზეიმო დახურვა, კონცერტი, დაჯილდოება საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში *15.00

საკონკურსო თემატიკა საგნების მიხედვით:

ქართული ენა და ლიტერატურა

- ჩემი „ვეფხისტყაოსანი“;
- სიყვარული და მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“;
- რუსთაველის პოეტური ოსტატობა;
- მირონცხეულობის იდეა „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით;
- „ენა დედაა ერისა“;
- „ქართული ენა – ზეციდან გარდამოსული მუსიკა“;
- „სადა არს პატივი მეფობისა, მუნ არს მსგავსება ღმრთეებისა“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით);
- ბახტრიონი – ბრძოლა ბოროტების გამოვლინებასა და მის საწყისთან (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ მიხედვით);
- „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ (ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „მგზავრის წერილების“ მიხედვით);
- ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი ოდისეა;
- გალაკტიონის პოეტური გალაქტიკა;
- ნუთისოფელი დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით.

ისტორია

- წმინდანად შერაცხილი ბაგრატიონები;
- „ვითარცა მეორე აღმაშენებელმან“ – გიორგი ბრწყინვალე;
- ბაგრატიონთა გვარის გენეზისისათვის;
- ქართული მონარქიის თავისებურებანი;
- ნიკო ბური – გმირი, მოგზაური, მწერალი;
- ვახუშტი ბატონიშვილი – ახალი ქართული ისტორიის მამოთავარი;
- საქართველოს მომავალი მმართველობის ფორმა – კონსტიტუციური მონარქია;
- ბაგრატიონთა სამეფო ინსიგნიები.


მათემატიკა

- რიცხვები 3, 7, 9, 100 ქართულ ზღაპრებსა და ანდაზებში;
- სიმეტრია და ასიმეტრია და ქართული ხუროთმოძღვრება;
- პირამიდა: გეომეტრიული ფიგურა და ეგვიპტელ ფარაონთა სამარხი;
- ქართული ტაძრები და ზოდიაქოს ნიშნები, კოსმოგონია;
- ალექსანდრე ბატონიშვილი – რუსეთის არტილერიის მამა;
- ცნობილი ქართველი მათემატიკოსები;
- მათემატიკური სოფიზმები;
- გეომეტრია – პლანიმეტრია;
- ალგებრა და საქართველოს მათიანე;
- პითაგორას რიცხვები.

კალიგრაფია

„გაგზავნა მის ყმის საძებრად“; „ნიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“; „ამბავი ავთანდილისა ასმათს რომ ეუბნებოდა ქვაბშიგან“; „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“; „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“; „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დაზოცისა“; „ნიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი“; „თათბირი ტარიელისა“.

ნიმუში:



ღვთისმეტყველება

ძველი აღთქმა

- ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ისტორია;
- მოსე წინასწარმეტყველის ისტორია;
- მეფე საული და სამუელ წინასწარმეტყველი;
- დავითი და სოლომონი;
- იობის თავგადასავალი;
- იუდას სამეფოს ისტორია;
- ელია წინასწარმეტყველი;
- ძველი აღთქმის მცნებები;
- იესო ქრისტეს მოვლინების წინასწარმეტყველნი;
- სამოთხიდან გამოძევებული ადამიანები.

ახალი აღთქმა

- პავლე მოციქულის ეპისტოლენი;
- მაცხოვრის გენეალოგია;
- მაცხოვრის სასწაულები;
- იესოს ტაძრად მიყვანება;
- მაცხოვრის მონაფეხები;
- იესოს იგავნი და მათი მნიშვნელობა;
- იესოს იერუსალიმში შესვლა;
- იესოს ჯვარცმა, გარდამოსხნა;
- მოციქულთა სახელები და მათი შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში;
- ქრისტეს კვართის ჩამობრძანება საქართველოში.

ბიოლოგია

- ბაგრატიონების როლი ბუნებისმეტყველების განვითარებაში;
- ჰემოფილია;
- გენმოდიფიცირება – საფრთხე თუ სარგებელი;
- ტუბერკულოზი;
- ლეროვანი უჯრედები;
- გამოჩენილი ქართველი ბიოლოგები.

ინგლისური

- Oliver and Marjory Wardrop – Roots of cultural and diplomatic relations between Georgia and the United Kingdom;
- Ivane Machabeli – making Shakespeare Georgian;
- Fallen angels of literature – Nikoloz Baratashvili and George Byron;
- George Balanchine – changing American ballet history;
- Katie Melua – a girl from a little place.

რუსული

- Грузинское просветительство: Вахушти Багратиони (1696-1757); Антон Багратиони (1720-1788); Александр Амилахвари (1750-1802); Давид Гурамишвили (1705-1792); Александр Чавчавадзе (1786-1846)...
- Грузины в С. Петербурге;
- Грузинские поселения в Москве;
- Грузинские шедевры А. С. Пушкина;
- Творчество В. Маяковского и грузинские поэты.

აქტუალური თემა

„არ შეიძლება ცული შეღები მხოლოდ მასწავლებლის პასუხისმგებლობად ვაქციოთ“

პირველი გვერდიდან

საზოგადოების ნაწილი არ ერიდება მკვეთრი დიაგნოზის დასმას და ამბობს, რომ ეს კატასტროფული შედეგია, ზოგიც ამ შედეგებს ხელისუფლების ინტერესებამ მოიხსენიებს – ყველაზე მეტად სახელმწიფოს ანგობს ამ რაოდენობის მასწავლებლის ჩაჭრა, რადგან 83% რომ გასულიყო, შემდეგ წელს, დაახლოებით, 8000 მასწავლებლისთვის მოუწევდა ხელფასის მომატება. ნაწილი კი მიზეზად ტესტების სირთულეს ასახედეთ, ჩვენი რესპონდენტების დახმარებით გაგვეჩვენა, რატომ ვიღებთ ასეთ შედეგებს და რაში ხედავენ ისინი პრობლემის მოგვარების გზებს?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატანი** იმ აქტივობებსა და პროგრამებზე საუბრობს, რომლებიც უკავშირდება პროფესიულ განვითარებას შუენწყობს ხელს. დაგვიხსენებთ ტრენინგებამდე კი საჭიროა მასწავლებელთა ნდობის დაბრუნება ან აღდგენა მომზადებასა და მოსწავლეებში, თუნდაც ბოლო გამოცდის ხმაურიანი შედეგების ფონზე.

„რასაკვირველია, ამ მასწავლებლებს უნდა ვენდოთ, – აცხადებს ქალბატონი მანანა, – რადგან ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებიც ჩვენც გვასწავლიდნენ, ჩვენს შვილებსაც, ჩვენს ახლობლებსაც და დღესაც ასწავლიან სკოლაში. ამდენად, დიდი აყოფილებაა ამისგან არ ღირს, რადგან, მათ გარკვეულ დონეზე იციან, როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი. მაგრამ ის, რომ ჩვენ უკეთესი გვინდა, თავისთავად, ვასაგებია. ვარდა საგნობრივი ცოდნისა და უნარისა თუ როგორ ასწავლონ, მასწავლებლის წინაშე სხვა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას, თუნდაც ახალი ტექნოლოგიების ან უცხო ენის ცოდნა და სხვ. სისტემა მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული ხარისხზე, ამავდროულად, 21-ე საუკუნის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი კომპონენტების გაძლიერებაზე უნდა ვიმუშაოთ. შესაბამისად, ჩვენ დაინტერესებული ვართ, პედაგოგები დროულად გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე, რასაც ბუნებრივად მოყვება დანარჩენი უნარების განვითარებაც.“

სკოლა უნდა იყოს პროფესიული დიალოგის ადგილი, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, დაეხმარებიან, ამაში კი უდიდესი როლი ადმინისტრაციას აკისრია.

რა თქმა უნდა, მასწავლებლებს და სკოლას უნდა ვენდოთ, მაგრამ აუცილებლად ვაცადოთ მათ, რომ განვითარდნენ, ამავდროულად, წარმატებული მასწავლებლების ხმასაც მოვუსმინოთ.“

მთავარ მიზეზად, თუ რატომ აღმოვჩნდით ამ მდგომარეობაში, **გია მურღულია**, პირველ რიგში, იმ არასაკმარის მოტივაციას ასახელებს, რომელიც მასწავლებლებს აქვთ იმისთვის, რომ თავიანთი ფუნქცია შეასრულონ: „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ხელისუფლების სურვილი, გაზარდოს მასწავლებელთა ანაზღაურება, ის აბსოლუტურად არ არის მომხიბვლელი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისთვის.“

დიდი ხანია, ვგრძნობ და არა მხოლოდ ვგრძნობ, ზუსტადაც ვიცი, რომ ჩვენი საზოგადოების გონიერი ნაწილი, რომელსაც შეუძლია, ჩვენს განათლების სისტემასა და ბავშვებს რეალური სარგებელი მოუტანოს, არც იყურება სკოლისკენ. ამით იმას არ ვამბობ, რომ სკოლებში კარგი მასწავლებლები არ მუშაობენ. ჩვენ გვყავს კარგი, ძალიან კარგი და მეტიც, ბრწყინვალე მასწავლებლები, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა და ისინი სრულ კი არა, სანახევროდ ამინდსაც ვერ ქმნიან ჩვენს სკოლებში.“

მეორე მიზეზი ბატონ გია მურღულიასთვის ის გახლავთ, რომ „ჩვენი საზოგადოება ჯეროვნად არ აფასებს მასწავლებლის პროფესიას. საქართველოში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, შეიქმნას განათლებული ადამიანის და მისი ცხოვრების წესის, არ მომორიდება ამ სიტყვის გამოყენება, კულტი. ადამიანი, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს, არა მხოლოდ ასწავლის ჩვენს შვილებს, არამედ პროვოცირებდაც აყალიბებს, ამიტომ მთავარია, რომ ის საზოგადოებაში შეფასდეს და დააფასოს.“

და არსებობს მესამე მიზეზიც, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სასკოლო განათლების დაკნინებითაა განპირობებული: „თავად სასკოლო განათლების იდეა საქართველოში, უმაღლესი განათლების იდეასთან შედარებით, ძალიან დამდაბლებული და დამცირებულია. სკოლას თითქოს მაინცდამაინც დიდი ამოცანები არ აქვს – ასე უყურებენ სკოლის მნიშვნელობას, რაც ძალიან სამწუხარო ამბავია.“

მასწავლებელთა მომზადების სისტემა მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს, ვგულისხმობ იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც ამზადებენ პედაგოგებს ქართული სკოლისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი რამ არის მნიშვნელოვანი, კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და გააზრებული ისიც, რომ მომზადების პროგრამაში თეორიული ნაწილი ასე მნიშვნელოვნად არ უსწრებდეს პრაქტიკულს. ვიცნობ დასავლურ გამოცდილებას და ვიცი, რომ მომზადების მოზრდილ ნაწილს მასწავლებლები სკოლაში ატარებენ. როგორც ამბობენ, ჯარისკაცი ბრძოლაში ყალიბდება. ჩვენთან ბოლო დრომდე ასე იყო, რომ თეორიული ნაწილი იყო უზარმაზარი, პრაქტიკა – უმცირესი, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ აკეთებს იმას, რასაც სწავლობს.“

შედეგი, რომელიც გამოცდას წარმოაჩინა, არ ყოფილა მოულოდნელი ქალბატონი მანანა რატანისთვისაც, რადგან წლე-

ბის განმავლობაში ვხედავთ ტენდენციას, რომელიც გამოცდების მონაცემების არასახარბიელო შედეგებს გვაცნობს.

„რა თქმა უნდა შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, ტესტები სწორი ფორმატით მიმდინარეობს თუ არა და არის თუ არა ხარვეზები თავად ტესტებში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სახელმწიფომ გადაწყვიტა და სწორადაც გადაწყვიტა, რომ საგნის გამოცდა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია იმისთვის, რომ გავიგოთ მასწავლებლებმა იციან თუ არა საგანი, რომელსაც ასწავლიან, ყველაფერი დანარჩენი ამაზე უნდა დავაშენოთ. საგნის ცოდნას, რასაკვირველია, მასწავლებელს საუნივერსიტეტო განათლება უნდა აძლევდეს. შესაბამისად, ჩვენ მივდივართ იმ მნიშვნელოვან პრობლემამდე, რაც საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის ამაღლებას გულისხმობს. ფაქტია და შედეგებიც გვაძლევს ამის თქმის საფუძველს, რომ მასწავლებელთა ნაწილი, რომელიც მოდის უნივერსიტეტიდან, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა, ამავდროულად, გვაქვს მეორე მხარე – გვყავს მასწავლებლები, რომლებიც საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან და ჩვენი მიზანია, სისტემაში მათი რაოდენობა რაც შეიძლება გაიზარდოს.“

განათლების სისტემაში კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი გზა, როგორც ქალბატონი მანანა ჩვენთან საუბრისას აცხადებს, ის ახალი საუნივერსიტეტო პროგრამებია, რომლებიც სწორედ ახლა გადის აკრედიტაციას – საუნივერსიტეტო საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა და დამოუკიდებელი 60-კრედიტიანი პროგრამა.

„შესაბამისად, ამ პროგრამებში უკვე გათვალისწინებულია ყველა ის მოთხოვნა, რაც სახელმწიფოს აქვს ნაყენებული მასწავლებლის მომზადების კუთხით და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტები, რომელთა პროგრამაც გაივლის აკრედიტაციას, შეძლებენ სისტემაში ისეთი მასწავლებლის მსურველები შემოიყვანონ, რომელთაც საკმაოდ კარგი ცოდნა ექნებათ როგორც საგნის, ისე მეთოდოლოგიური. ასევე, გათვალისწინებულია, რომ ამ პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტი ხდება მნიშვნელოვანი და მასწავლებლობის მსურველს, რომელიც სკოლაში შევა, უკვე ექნება პედაგოგად მუშაობის გარკვეული გამოცდილება, რაც ახალბედა მასწავლებლის თანამდევ პრობლემების არსებობას მაქსიმალურად შეამცირებს.“

მეორე, ასევე უმნიშვნელოვანესი მიმართულება მასწავლებელთა გადამზადება. ჩავატარეთ კვლევა, რომლის საფუძველზეც ვცაადეთ ვადაზღვეების პროგრამების მოდიფიცირება. თავისთავად, მხოლოდ ტრენინგებზე დასწრება არ არის მნიშვნელოვანი და საკმარისი იმისათვის, რომ შეიძინო ცოდნა და შემდგომში შეძლო პრაქტიკაში გადატანა. ამიტომაც, გადამზადების ახალი პროგრამების შეფასების ნაწილში შევიდა სწორედ ის კომპონენტები, რომლებიც მასწავლებლებს შექმნილი ცოდნისა და უნარების საკლასო ოთახში რეალიზების საშუალებას მისცემს, რაც კარგად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.“

იგეგმება თუ არა ტესტის ფორმატთან დაკავშირებული ცვლილებები? – ქალბატონი მანანა პასუხობს, რომ ცვლილებები იგეგმება, თუმცა, ეს არ უკავშირდება ბოლო შედეგებს. ტესტიდან ამოღებული იქნება მეთოდოლოგიური ნაწილი. როგორც ჩანს, ზაფხულში მასწავლებლებს უფრო გამარტივებული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, რადგანაც საგნის მეთოდოლოგის სწავლებაზე პასუხისმგებლობა ცენტრმა აიღო და სქემის ფარგლებში, ამ მიმართულებით, მასწავლებელთა მომზადებას უზრუნველყოფს. მაგალითად, 5-კრედიტიანი პროგრამა სწორედ მეთოდოლოგიაზეა მიმართული.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრთან, ექსპერტები იმ საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენენ, რაც გამოცდამ გამოავლინა და დეტალურად აანალიზებენ, სად იყო სუსტი ნაწილი ან ყველაზე მეტი პრობლემა, რაც შედეგ იმ ტრენინგ-მოდულში აისახება, რომელიც მასწავლებელს საგამოცდოდ მომზადებაში დაეხმარება. 5-კრედიტიანი პროგრამის გარდა, დაგეგმილია არაერთი ტრენინგი თუ სამუშაო შეხვედრა და დამხარე ლიტერატურის გამოცემა. ცენტრი, ასევე, დონორი ორგანიზაციების რესურსების მობილიზებასაც ახდენს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალბიუჯეტიანი პროექტი ათასწლეულის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული სამწლილი პროგრამაა, რომლის ფარგლებში გადამზადდებიან STEM დარგების სპეციალისტები, ანუ საბუნებისმეტყველო საგნების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ინგლისურის მასწავლებლები და, ამავდროულად, ადმინისტრაცია. „ადმინისტრაციის კომპონენტი განსაკუთრებით ხაზგასასმულია მნიშვნელოვანია, – აღნიშნავს მანანა რატანი, – თუკი სკოლაში ძლიერი ადმინისტრაცია და მან კარგად იცის, როგორ დაეხმაროს მასწავლებელს, ამ შემთხვევაში, ისინი ბევრად უფრო მობილიზებული არიან და სკოლაც უკეთეს შედეგს აჩვენებს. სასწავლო პროცესზე ვაგლეხას ადმინისტრაცია უფრო ახდენს, ვიდრე ერთი კონკრეტული მასწავლებელი. ამდენად, ამ კომპონენტში გათვალისწინებული არიან არა მხოლოდ STEM დარგების მასწავლებლები, არამედ ადმინისტრაციაც.“

შექმნილ ვითარებაში ვის აკისრია პასუხისმგებლობის ყველაზე დიდი წილი? ამ კითხვას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ასე პასუხობს: „პასუხისმგებლობა, ალბათ, სხვადასხვა მიმართულებით უნდა გადავანაწილოთ, რადგან ეს სისტემური პრობლემაა. როცა რეფორმები დაიწყო, იმ პერიოდისადაც, აუცილებლად უნდა დაწყებულიყო მასწავლებლებზე მიმართული თანმიმდევრული, სისტემური რეფორმა. მხოლოდ ფუნდამენტური

დოკუმენტების შექმნა არ არის ერთადერთი სწორი გზა იმისთვის, რომ სისტემა თავისთავად ამუშავდეს. ამიტომ, ვამბობთ, 2004 წელს, ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნასთან ერთად რომ დაწყებულიყო ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, პრობლემაც ნაკლები იქნებოდა და ეს ეტაპიც კარგა ხნის გავლილი გვექნებოდა. რაც შეეხება მასწავლებლის პასუხისმგებლობას, რასაკვირველია, ძალიან დიდია, მაგრამ მისი მხარდაჭერა აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს ინტერესს.“

ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია საზოგადოების კომპონენტიც, რადგან, ამ შემთხვევაში, საზოგადოებამ ასეთი გამოსავალი იპოვა – არ ენდობა სკოლას და ამისთვის დაბალი კლასებიდანვე რეპეტიტორს მიმართავს, იმის ნაცვლად, რომ სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლება მოითხოვოს. საინტერესო სურათი გვაქვს – მშობელი არ ენდობა მასწავლებლის სკოლაში და ხშირად მიჰყავს შვილი რეპეტიტორთან, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, იმავე სკოლის მასწავლებელია. ამდენად, საზოგადოება – მასწავლებელი – ადმინისტრაცია – სახელმწიფო – ამ ერთობლიობამ უნდა მოგვეცეს შედეგი, საბოლოო ჯამში კი – სასწავლო პროცესის გაუმჯობესება.

და კიდევ ერთი, როცა ვსაუბრობთ ნაკლოვანებებზე, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რა და როგორ კეთდება, და რაც მთავარია, განათლება ის სფეროა, სადაც შედეგი სწრაფად ვერ დადგება. აქ უნდა იყოს სწორად გათვლილი დრო და მოლოდინი.“

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ვფიქრობ, ამ სტატისტიკაში იმედის მომცემია, მასწავლებლის მსურველთა შედეგები – იანვრის გამოცდაზე დარეგისტრირდა 700 მსურველი, აქედან გამოცდაზე გავიდა 577, ჩააბარა 144-მა.

ალბათ საეჭვოა, შეძლებენ თუ არა პრაქტიკოსი მასწავლებლები ასეთი ტემპით, 4 წელიწადში (ერთი თითქმის გავიდა), უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გადასვლას და ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ქვეყანაში მასწავლებლების დეფიციტი შეიქმნება. ამ სურათს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს ქალბატონი მანანა და ამბობს, რომ: „ჩვენ არა მხოლოდ უნდა შევინარჩუნოთ მასწავლებლები, არამედ უნდა მივცეთ მათ მეტად განვითარების საშუალება. მთავარია, ეს პროცესები სწორად წარიმართოს. მასწავლებლები, რომლებსაც სკოლაში სწავლების პოტენციალი აქვთ, რასაკვირველია, სისტემას სჭირდება და აუცილებლად ვეცდებით მათ შენარჩუნებას. ყველანაირად დაეუჭერთ მხარს ნებისმიერ მასწავლებელს, რომელიც გადაწყვიტს ამ გზაზე შედგომას და პროფესიულად განვითარებას – მაქსიმალურად დაეხმარებით, სახელმწიფოს დაუდასტუროს საგნობრივი კომპეტენციები, მაგრამ, თუ ამას ვერ შეძლებს, სამწუხაროდ, მათი ჩანაცვლება მოგვიწევს. გვეყოლება თუ არა ჩასანაცვლებლად საკმარისი კადრი, ამის იმედს მასწავლებლობის მსურველთა ის 25 პროცენტი გვაძლევს, რომელმაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ვფიქრობთ, მომავალში მასწავლებლის პროფესიაზე მოთხოვნა კიდევ მეტად გაიზრდება. არც ის დაგვაინწყდეს, რომ სისტემის გარეშე ვცვავენ სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომელთაც პროფესიაში შემოსვლა უნდათ; ასევე, ველოდებით საუნივერსიტეტო პროგრამებს, რომლებიც უფრო კვალიფიციურ კადრებს მოამზადებენ. სამი წლის შემდეგ, ფაქტობრივად, პრაქტიკოსი მასწავლებელი აღარ იარსებებს, შესაბამისად, მათი უმეტესობა უფროსი მასწავლებლის საფეხურზე გადავა. ყველაფერი ეს კი, არა მგონია, მასწავლებლის დეფიციტის შექმნის საშიშროებას იძლეოდეს.“

მასწავლებელთა შედეგების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ 24-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს:

განათლების პროფკავშირის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, სერტიფიცირებული პედაგოგი **თამარ ბარისაშვილი** მიიჩნევს, რომ: „მასწავლებლების მხრიდან ძნელად შესაგუებელია მათი ავტორიტეტისა და ღირსების შელახვა, მით უმეტეს, როცა აბსურდული რაოდენობა სახელდება ხოლმე. ნამდვილად ვადასამონებელია ეს მონაცემები და სწორედ ამას ვითხოვთ განათლების პროფკავშირის მუშაკები – დაზუსტდეს, რამდენი პრაქტიკოსი მასწავლებელი გავიდა გამოცდაზე. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ მასწავლებლები, მოტივაციის უქონლობის გამო, საგამოცდო პროცესში დიდი ინტერესით არ ჩართულან, ბევრი დარეგისტრირდა, მაგრამ გამოცდაზე აღარ გავიდა.“

არ შეიძლება, შედეგებზე პასუხი მხოლოდ მასწავლებელს მოვთხოვოთ, ამით სამართლიანობის პრინციპი დაირღვევა. ვასაბანალიზებელია ისიც, რატომ არის უფრო დიდი ჩავარდნა ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებში, ვიდრე – შემანიტარულში ან რატომ ელოდნენ განსაკუთრებულ შედეგს დაწყებითი კათედრის მიმართულებით? პირველ რიგში, უმჯობესია ის იკითხოთ, რაში დაეხმარნენ ამ მასწავლებლებს? თანამედროვე მოთხოვნებზე პასუხი ხომ მხოლოდ ბუკების დარიგება არ არის.

ვალიანო, რომ რეფორმა შეცდომით დაიწყო (შემდეგ შუაში შეწყდა კიდევ) და არც მერე განვითარდა სწორად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ წელიწადში მასწავლებელი ორჯერ გადის გამოცდაზე, არაფერს მოგვცემს. თუ მას განვითარებისთვის საჭირო რესურსი არ შეუქმნენ, თავისთავად, სასურველი შედეგიც დააყოვნებს.“

საინტერესოა, როგორ აფასებენ საგამოცდო პროცესსა და ტესტებს ის პედაგოგები, ვინც წარმატებით ჩააბარა საგნობრივი გამოცდა. 24-ე საჯარო სკოლის მათემატიკისა და ინფორმატიკის სერტიფიცირებული პედაგოგი **ლიდა ბიჭიაშვილი** ერთ-ერთი მათგანია: „ორ საგანში მაქვს გამოცდა ჩაბარებული. პროფესიით მათემატიკის სპეციალისტი ვარ, მაგრამ

აქტუალური თემა

მაღალი კლასების მასწავლებლის ტესტს რომ გადავხედო, ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ყოველ წელს ვფიქრობ, რომ მოვემზადო და გავიდე მაღალი კლასის მათემატიკის ტესტის ჩასაბარებლად, მაგრამ ვერ ვერ დავძლიე, ამიტომ თავს ვიკავებ. რაც შეეხება I-IV კლასების ტესტს, უშუალოდ მათემატიკა არ იყო რთული, უფრო რთული აღმოჩნდა ტესტის სხვა ნაწილი, რომელიც ესეს დაწერას ითვალისწინებდა. მოგეხსენებათ, ტესტი სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება და მათთვის დაწესებულია მინიმალური ზღვრები. თუ ზღვარი ყველა კომპონენტში არ გადალახე, გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაგეთვლება. ჯამში, შეიძლება, გამსვლელი ქულა დაგიგროვდეს, მაგრამ გამოცდა ვერ ჩააბარო.

ზაფხულში პირველად ჩატარდა გამოცდა ინფორმატიკაში, მე იანვარში ვცადე ბედი და ჩავაბარე. გამოცდა ორ ეტაპად იყოფოდა: თეორიული ნაწილი და პრაქტიკული - კომპიუტერთან. პროგრამაც გამოქვეყნდა, ნიმუშიც დაიდო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ პროგრამიდან რამდენიმე საკითხი ამოიღეს, სასურველია, ეს თავიდანვე გეცოდნოდა, სხვაგვარად მოვემზადებოდი. პრაქტიკული ნაწილი კარგად დავწერე, მაგრამ თეორიულ ნაწილში ბევრი ისეთი საკითხი იყო, რომელსაც ბავშვებს არ ვასწავლით. ალბათ, ეს მასწავლებელმა უნდა იცოდეს, მაგრამ ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში ამასთან შეხება არ გვაქვს. ასეთი საკითხების ამოღებით შეიძლება ტესტი გამარტივდეს ან პროგრამა მეტად ჩაიშალოს, რათა უფრო

კონკრეტულად ვიცოდეთ, რისთვის ვემზადებით.

თავისთავად, საგანი, რომელსაც ასწავლი, რომ უნდა იცოდე, ეს სადავო არ უნდა იყოს, გამოცდაც უნდა ჩააბარო. მეტიც, ესეც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თქვა, მასწავლებელი ნამდვილად კარგია თუ არა. პირველ ჯერზე შეიძლება გამოცდა ვერ ჩააბარო, ვერც - მეორე ჯერზე, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორი არ განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიონალიზმს. ახალი სექმა სწორედ ამიტომ მომწონს. თუმცა, გამოცდა მასწავლებლის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია. მსჯელობის თემაა ისიც, არის თუ არა ბოლომდე გამართული საგამოცდო სისტემა. ვფიქრობ, ბევრი რამ კიდევ დასახვეწია, უმჯობესია ამის შესახებ მასწავლებლებსაც მოუსმინონ. მეტი ტრენინგი, მასალა და, მხარდაჭერაა საჭირო იმისთვის, რომ მსგავსი შედეგი არ მივიღოთ და კოლეგებმაც უფრო იოლად დავძლიოთ გამოცდა.

არის თუ არა შეურაცხმყოფელი მასწავლებლისთვის ის ფაქტი, რომ გამოცდა ვერ ჩააბარა - ამ თემაზე რამდენიმე წლის წინ სხვაგვარად ვფიქრობდი, ახლა - სხვაგვარად: განვითარება ჩვენც გვჭირდება, არ შეიძლება ცუდი შედეგი მხოლოდ მასწავლებლის პასუხისმგებლობად ვაქციოთ და ვთქვათ, რომ მაინცდამაინც „მასწავლებლები ჩავლავდნენ“.

ბატონი გია მურღულია მიიჩნევს, რომ: „მასწავლებელთა 83% გამოცდას რომ ვერ აბარებს, ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს

სკოლებში ვერ ვამზადებთ რეალური ცხოვრებისთვის. უნდა მივხედეთ, რომ პრობლემა არის ძალიან მწვავე და თუ ის არ გადაწყდება, საუბრები სახელმწიფოს განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების შესახებ, არის წყლის ნაყვია. ყველამ უნდა ვააცნობიეროს, რომ სკოლის პრობლემის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საკითხს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ „დრამატულად“ გაზარდოს განათლების სისტემის დაფინანსება და ეს პირველი ამოცანაა, თუმცა, მხოლოდ ფულში არაა საქმე, ფული და ქუჩა უნდა შეხვდეს ერთმანეთს. მნიშვნელოვანია უნდა ამაღლდეს მმართველობითი კულტურა ყველა დონეზე. ამისთვის აუცილებელია, სკოლებში განათლების მენეჯერების ახალი თაობა მოვიდეს და ძველი, გამოცდილი თაობაც არ დაიკარგოს. სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს, რომ მასწავლებლობა, განათლების სფეროში საქმიანობა, არის უმნიშვნელოვანესი და განათლების სფერო აქციოს რეალურ პრიორიტეტად და არა წარმოსახვითად, ჩვენმა პარლამენტმაც უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია და განსაზღვროს განათლების პრიორიტეტები, რის საფუძველზეც განათლების სამინისტრო და სკოლები დაიწყებენ თავიანთი ფუნქციების უკეთ განხორციელებას. ეს არის მინიმუმი, რაც დასაწყისში უნდა გაკეთდეს.“

ლალი ჯილაძე

რატომ ვერ ვითარდება პროფესიული განათლების სისტემა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი საბჭო და პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი კიდევ ერთხელ შეიკრიბა პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემებისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ სასაუბროდ, ამჯერად ევროკავშირის ექსპერტებთან პროფესიონალებისა და დასაქმების მიმართულებით, ბატონი **ოლივერ დიხონი** ერთად. როგორც საბჭოს თავმჯდომარე, ბატონმა **რამაზ ხუროძემ** აღნიშნა, შეხვედრის ინიციატორი თავად ირლანდიელი ექსპერტი იყო, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ევროკავშირის (და არა მარტო) ქვეყნებში. მისი პრეზენტაცია, ძირითადად, ორ საკითხს მოიცავდა - პროფესიული განათლება XXI საუკუნეში და აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დღევანდელ მსოფლიოში სისტემური მიდგომებით ვითარდება ყველა დარგი და წყდება ის პრობლემები, რომელიც თან სდევს ან წარმოიქმნება ამ პროცესში, მათ შორის, დასაქმების კუთხით. ასეა განათლების სფეროშიც. დღეისათვის 70-ზე მეტი ქვეყანა სწორედ სისტემურ მიდგომებს იყენებს პროფესიული განათლების განვითარებისთვის, რაც გულისხმობს პასუხის გაცემას კითხვებზე - ვის სჭირდება ან ვისთვის არის პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი დღეს; რა სტანდარტით უნდა მიიღოს მან ეს დაკვეთა; როგორ უზრუნველყოთ სტანდარტის მიღწევა (ევროპაში 8 მექანიზმი არსებობს, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა მექანიზმს ირჩევს) და ხარისხი, როგორც აუცილებელი პრობლემა, ანუ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. რაც შეეხება კურიკულუმს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სისტემური აზროვნებიდან დამოუკიდებლად ვითარდება და მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი საშუალებაა.

რაც შეეხება მეორე საკითხს - შრომის ბაზრის პოლიტიკა ევროპაშიც ძალიან აქტუალურია. დასაქმებისადმი მიდგომა ორგვარია - აქტიური და პასიური. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები, დიდწილად, პასიური მიდგომით სარგებლობენ. თუმცა, შრომის ბაზართან მიმართებაში ქვეყნები 30-მდე დიდგომას იყენებენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ევროპის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (34 ქვეყანას აერთიანებს) მონაცემებით, შრომის ბაზრის განვითარების მხრივ, ანუ უმუშევრობის დასაძლევად, მხოლოდ ერთადერთი ინოვაცია შეიმჩნევა, ესაა სოციალური დასაქმების ხელშეწყობა. ზოგად მთავარი მექანიზმია ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება, ირლანდიაში, მაგალითად, ნებისმიერი რამ, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილის შექმნას, იქაური მთავრობისთვის ეს, გამორჩეულად პრიორიტეტული საკითხია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასაქმების რამდენად სწორ პოლიტიკას შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით. აქ მნიშვნელოვანია, რაზეა ორიენტირებული სტრატეგია - შრომის ბაზრის დღევანდელ მოთხოვნაზე თუ გათვლილია იმაზე, რა მოთხოვნა იქნება მომავალში. მაგალითად, ირლანდიაში აქცენტები კეთდება ადამიანური კაპიტალის შექმნაზე, ეს გაცილებით პრიორიტეტულია, ვიდრე მათ მოთხოვნების გათვალისწინება. თუ საქართველოში მშობელი ორიენტირებულია უმაღლეს განათლებაზე, ეს გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. აქ ძალიან ფრთხილი მიდგომაა საჭირო, რადგან უმაღლესი სკოლა ვერ დაიტვიფრებდა მსურველს, რაც აუცილებლად დასწევს ცოდნის ხარისხს და აისახება ქვეყნის მომავალზე - გაზრდის უმუშევრობას.

შეხვედრაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ ევროპული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია და რეკომენდაციები არავითარგანაც არის მოსიძინეს პროფესიული განათლების ქართულმა სპეციალისტებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა ბოლო 10 წლის განმავლობაში, მაგრამ ფაქტია, რომ სისტემა ვერ ვითარ-

დება. ამას თავად ბატონი ოლივერიც ადასტურებს, როცა ამბობს, რომ 17-18 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან პროფესიულ სასწავლებელში მხოლოდ 1% აგრძელებს სწავლას. ეს ნიშნავს, რომ მოქმედი სისტემა ვერ ამართლებს. ბუნებრივია, მიზეზი კომპლექსურია და მხოლოდ სისტემური მიდგომით უნდა აღმოვხვრას. აღინიშნა ისიც, რომ პროფესიული განათლების ევროპული სისტემა ჩვენთანაც ხორციელდება, მაგრამ - ცუდად!

ბატონ რამაზ ხუროძის შეკითხვა დუალური სწავლებას შეეხებოდა, კერძოდ, რამდენად არის ქვეყანა მზად ამ მეთოდით სწავლებისათვის. ექსპერტის პასუხი მოკლე იყო - სხვა არჩევანი არც გვაქვს! ახსნა კი ამგვარი: საქართველო პატარა ქვეყანაა, მისი ეკონომიკა სწრაფად იცვლება. შრომის ბაზარი და ეკონომიკა დისფუნქციურია - ზოგი სფერო სწრაფად ვითარდება, ზოგი - ნელა, ზოგადად, არასტაბილური სისტემაა. აუცილებელია ფეხი აუწყოთ სწრაფ ცვლილებებს. ფორმალური განათლება კი ამ ტემპს, ბუნებრივია, ვერ მიჰყვება, ამიტომ აუცილებელია მოქნილი სისტემის შექმნა, რაც, პირველ რიგში, დამსაქმებელთან აქტიურ თანამშრომლობას გულისხმობს. სწორედ ამიტომ ვაღიარებთ დუალური სწავლების მნიშვნელობასა და აქტუალობას. ირლანდიაში, მაგალითად, დუალური სწავლება გულისხმობს ე.წ. შევირდობის თანამედროვე სისტემას. დამსაქმებელს, შევირდისა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე, პროფესიული განათლების ნაწილი (გარკვეული პერიოდი) სასწავლო ბაზაზე მიმდინარეობს, ხოლო ნაწილი - კომპანიის ბაზაზე. სტანდარტის მიღწევა შესაძლებელია ორივეგან, სამუშაო ადგილზე მიღებული ცოდნა სწავლების ალიარებით რეგულირდება. ამ მეთოდით ყველა პროფესია არ შეისწავლება, ასეთი მხოლოდ 50 მიმართულია. ასეთივე მიდგომაა, მაგალითად, ლიტვამში. აქაც მხოლოდ კონკრეტულ პროფესიებზე მიმდინარეობს დუალური სწავლება და წარმატებითაც (აღრე 40 პროფესიაში, ახლა 60-ში); სლოვაკეთში, სადაც, საქართველოს მსგავსად, არასტაბილური ეკონომიკა და შრომის ბაზარია, გერმანული და ავსტრიული დუალური სისტემის კოპირება მოახდინეს და არ გაამართლა. ამიტომ მეტი სიფრთხილე მართებს საქართველოს მთავრობას სწავლების პოლიტიკის განსაზღვრისას. დასაწყისისთვის აუცილებელია მეთოდის პილოტირება რამდენიმე სასწავლებელში და, შედეგებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, ერთ რამეში ნამდვილად შემიძლია დაგარანმუნოთ - მხოლოდ სასწავლო ბაზაზე განხორციელებული სწავლება დღევანდელი მთავრობის მიუღებელია, რადგან იგი არ გაამართლავს.

მე ვემხრობი დუალურ სისტემას. რას გვირჩევთ, სჯობს ვერ დავასრულოთ ძველი პროგრამით სწავლება და შემდეგ გადავიდეთ ახალზე თუ თანდათან გადავიდეთ ახალ მეთოდზე? - პროფესიული განათლების ექსპერტის, **ჯუმბერ გაბრიელაშვილის** შეკითხვაზე ოლივერი დიხონი პასუხობს, რომ „დუალური სისტემა მხოლოდ ხელშეწყობი პრობლემა მოდულური პროგრამების განხორციელებისთვის. თუ თქვენ ფარმაცევტის თანამშრომლის მომზადებას რომელიმე კომპანიასთან ერთად განახორციელებთ შევირდობის პრინციპით, ანუ სამხრეთი ხელშეკრულებით, სადაც განერილი იქნება თითოეული მხარის უფლება-მოვალეობანი, საესებთ შესაძლებელია, რომ ეს სტუდენტი დასაქმდეს კიდევ პარტნიორ კომპანიაში. ასეთი ურთიერთობა არ არის დასაქმების გარანტია, მაგრამ ბევრი ქვეყნის მაგალითზე, მათ შორის ირლანდიის, ამ გზით დასაქმებული წარმოადგენს 75%-ს აღწევს“.

განსაკუთრებით მწვავე იყო საქართველოს პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარის, **დენის დავითაშვილის** გამოსვლა, რომელმაც სისტემის გაუმართაობაში, მთავრობასთან ერთად, ბრალი იმ უცხოელ ექსპერტებსაც დასდო, რომლებიც არ ითვალისწინებენ ადგილობრივ, ქართულ რეალობას, რის გამოც მათი რეკომენდაციები არავფე-

ქური აღმოჩნდა. „მთელი რიგი პრობლემებისა, რის გამოც ასე დაბალია სისტემის სანდობა საზოგადოებაში, კვლავაც მოუგვარებელია. 20 წელზე მეტია სულ ექსპერიმენტებში ვართ. ვერა და ვერ მოხერხდა იმ ჩიხური მდგომარეობის აღმოფხვრა კანონში შესწორების შეტანით, რაც ცხრაკლასდამთავრებულ პროფტექნიკური სასწავლებლის სტუდენტს უმაღლესი განათლების მიღებას უკრძალავს. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია პროფსასწავლებლის სტუდენტს კანონი იცავდეს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან, სწავლის პერიოდში, არც სასწავლებელში მისაღები გამოცდები მიგვაჩნია გამართლებულად. ჩვენ აღარ გვინდა ილუზიებში ვიცხოვროთ. თქვენ სლოვაკეთის მაგალითი ახსენეთ, სადაც დუალური სწავლების კოპირებულად გადმოვებამ არ გაამართლა. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება საქართველოშიც. მეთოდი, ზოგადად, მისაღებია, მაგრამ ის უნდა მოერგოს ჩვენს რეალობას, უნდა შეიქმნას ნაზავი მეთოდებისა და დანერგვამდე კარგად გამოიცადოს თითოეული მათგანი.“

სამი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა საკანონმდებლო ბაზის მონესრიგება, პროცესი დაუსრულებლად ჭიანჭურდება და ეჭვი მაქვს ვერც მომავალი სასწავლო წლისთვის შევთავაზებთ ახალგაზრდებს მათთვის მისაღებ და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროფესიულ განათლებას“ - აღნიშნა დენის დავითაშვილმა.

ასევე კრიტიკული იყო პროფსასწავლებლის ყოფილი დირექტორის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგთა ასოციაციის თავმჯდომარის, **სერგო მისურაძის** გამოსვლაც, რომელმაც სწორედ სისტემურ პრობლემებზე და მათი დაძლევის აუცილებლობაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ გარემოს სპეციფიკურობაში, პირველ რიგში, დამსაქმებელთა მხრიდან საკითხისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომა იგულისხმება, რადგან დასაქმებისას ისინი უპირატესობას ნაცნობ-მეგობრობას ანიჭებენ. ამიტომ სერიოზულად არ განიხილავენ დუალური სწავლების მეთოდს, არც განათლების სამინისტრო მუშაობს ბიზნესთან, მათ დაინტერესებას კი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბატონმა სერგომ მოითხოვა ექსპერტისგან, გაითვალისწინონ სპეციალისტების აზრი პოლიტიკის შემუშავებისა და კანონში ცვლილებების შეტანისას.

ბევრი სხვა შენიშვნა და სურვილი გამოითქვა შეხვედრაზე, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. როგორც ჩანს, ბატონი ოლივერი კარგად იცნობს ყველა იმ პრობლემას, რომელიც სისტემის განვითარებას უშლის ხელს. ის ამბობს, რომ პროფესიული სტანდარტის შექმნა კარგი დასაწყისია, თუმცა დახვეწას საჭიროებს; ზოგადი განათლების უფლება ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს, რომ სამხედრო სამსახური დაბრკოლებად არ იქცეს პროფესიის შესწავლისას, რომ მოდულურ პროგრამებში აუცილებლად შედიოდეს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების ე.წ. ბირთვი, რომ არ ეთანხმება პროფსასწავლებლის სტუდენტისთვის გამოცდების ჩაბარებას, თუმცა უნარებისა და შესაძლებლობის შემოწმება აუცილებლად მიაჩნია.

„მზად ვარ, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში დისკუსია გაგრძელდეს. შევთანხმდეთ გაუგებრობების აღმოფხვრის აუცილებლობაზე, რომლის შემდეგაც განათლების სამინისტრო, თქვენი მხარდაჭერით, სწორ პოლიტიკას შეიმუშავებს, რაც კანონმდებლობით განმტკიცდება და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა ექნება. პროფესიული განათლება ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ამაღ ღირს, რადგან ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, დიდწილად და მოკიდებული გამართული, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების სისტემის შექმნაზე. თუ დაკვეთა იქნება, მე ასეთი დოკუმენტის შესაქმნელად მხოლოდ ერთი თვე დამჭირდება“ - ამ სიტყვებით დაასრულა შეხვედრა ოლივერი დიხონი.

პროვანიული განვითარება

ბარე დაკვირვება – შეფასების ზუსტი და ობიექტური ინსტრუმენტი

1 მარტიდან დაიწყო პედაგოგთა საქმიანობის დაწყების, პროვანიული განვითარებისა და კარგი-ერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობის – მასწავლებელთა პრაქტიკის შეფასების, ე.წ. „ბარე დაკვირვების“ პილოტირება. როგორც შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა მანა მიმინოშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ბარე დაკვირვებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ეცდება დაამტკიცოს – შეუძლია თუ არა პედაგოგს კარგი გაკვეთილის ჩატარება, რამდენად ადეკვატურად იყენებს პრაქტიკულ საგნის თეორიულ ცოდნას, მის ხელთ არსებულ რესურსებსა თუ სტრატეგიებს.

პილოტირებასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ პროვანიული განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი ირინა შვანიძე:

– მიმდინარეობს მასწავლებლის პრაქტიკის შეფასების – გარე დაკვირვების პილოტირება. რას გულისხმობს ეს პროცესი?

– პილოტირების პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. ამ ეტაპზე, მთლიანი პროცესის პილოტირება მიმდინარეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ მასწავლებლებს, ამ პროცესში, შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ naec.ge-ზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრში ამისთვის სპეციალური პროგრამა შემუშავდა – მასწავლებლები რეგისტრირდებიან ვებგვერდზე და ონლაინრეჟიმში ტვირთავენ გაკვეთილების გეგმებს. შემდეგ ატარებენ გაკვეთილებს, ინერენ ვიდეოფორზე და ჩანერიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ (2-3 დღეს ვაძლეოვ ვადას), ასევე ონლაინრეჟიმში, შეუძლიათ ატვირთონ თავიანთი რეფლექსიის დოკუმენტი – მასწავლებელი აანალიზებს და მოკლედ წერს, როგორ აფასებს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს, რა იყო დადებითი მხარე, რა – უარყოფითი; თუ გეგმას არ მიჰყვება რამე შეცვალა, რამ გამოიწვია ეს და ა.შ. ამის ფორმაც შემუშავებული გვაქვს და ატვირთულია ცენტრის ვებგვერდზე. ამდენად, დაწესებულია სრული პროცესის პილოტირება. რასაკვირველია, ამ პროცესში მასწავლებელს ეხმარება სკოლის ადმინისტრაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც სკოლაზეა მიმავრებული.

პილოტირების პროცესში, მასწავლებლებს შესაძლებლობა გაძლევათ, ჩაინერონ 3-3 გაკვეთილი და ამ სამი გაკვეთილიდან, გადმოსაგზავნან, ორი შეარჩიონ. გვინდა, ყველა ის დეტალი გამოვცადოთ, რამაც შესაძლოა რეალური დაკვირვების დროს იჩინოს თავი. პროცესი მაქსიმალურად მიმსგავსებულია რეალურს და გვაინტერესებს, სად შეიძლება გამოჩნდეს რაიმე პრობლემა.

მასწავლებლისთვის წაყენებული პირობა ასეთია: სანამ გაკვეთილები ჩატარდება, უნდა აიტვირთოს სამივე გაკვეთილის გეგმა, მაგრამ ჩანანერი – მხოლოდ იმ ორი გაკვეთილის, რომელიც თვითონ მასწავლებელმა შეარჩია, როგორც, მისი აზრით, საუკეთესო. ასევე, მასწავლებელი ატვირთავს მხოლოდ ორ რეფლექსიის დოკუმენტს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ის ორი გაკვეთილია, რომელიც მასწავლებელმა შეარჩია. ამ ეტაპზე, რადგან ჩვენ, გარდა პროცესისა, თვითონ შეფასების რუბრიკას ვხევით, მასწავლებლებს ვთხოვთ, მესამე გაკვეთილიც გადმოგვიგზავნონ, როგორც ჩვენთვის სამუშაო მასალა.

– პილოტირების პროცესი შეფასების რუბრიკის გამოცდასაც ითვალისწინებს?

– რასაკვირველია. პილოტირების პროცესი ამ რუბრიკის გამოცდასაც გულისხმობს, შეფასების იმ სქემის, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები გარე დაკვირვების პროცესში უნდა შეფასდნენ. შეფასების სქემაში განვიხილავთ ყველა ის კომპონენტი, ელემენტი და ძირითადი სფერო, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მასწავლებლის პროფესიული უნარები. ეს რუბრიკა მთლიანად ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მისი გამოცდა, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია. ამისთვის აყვანილი გვყავს ექსპერტები, რომლებიც გვეხმარებიან. გაკვეთილების ჩანერა წინა გაზაფხულიდან დაიწყო, პროცესში ჩართული არიან მოხალისე პედაგოგები, რომლებმაც გაკვეთილების ჩანერის სურვილი გამოთქვეს. პრინციპში, უკვე ამ პილოტირების ორი ეტაპი გავიარეთ. ნელ-ნელა ამოწმდებით ყველა ჩანანერი.

1 მარტს დაწყებული პილოტირებაც ნებაყოფლობითია, ჩართული არიან მოხალისეები, პედაგოგები, ვინც ამ პროცესის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, მასწავლებლებს ნამდვილად აქვთ მოტივაცია, რადგან ჩვენ მათ მიერ გადმოგზავნილ ვიდეოგაკვეთილებს ვაფასებთ, ვუბრუნებთ უკუკავშირს – ძალიან დეტალურ ანალიზს. პირველ ეტაპზე, დაახლოებით, 35 გაკვეთილი გექონდა და თითქმის 35-ივე მასწავლებელს შევხვდით, მათთან ერთად განვიხილეთ უკუკავშირი, რომელიც დავეწერეთ. მეორე ეტაპზე გაცილებით მეტი გაკვეთილია. გაკვეთილებს აფასებენ ასევე გარე ექსპერტები, რომლებიც მომავალში, რეალური დაკვირვების პროცესში, იქნებიან შემფასებლები.

– ვინ არიან ის ადამიანები, ვინც გარე ექსპერტებად მონაწილეობენ და გაიარეს თუ არა მათ სპეციალური მომზადება?

– ესენი არიან საგნის სპეციალისტები (აყვანილი გვყავს ყველა საგნის 17 სპეციალისტი), რომლებსაც აქვთ გარკვეული

ლი გამოცდილება განათლების სფეროში, ასევე – ჩვენს ცენტრთან მუშაობის გამოცდილება, არიან შემფასებლები. თუმცა, ისინი არ არიან ადამიანები, რომლებიც სკოლაში მოღვაწეობენ, იმიტომ რომ, ამ ეტაპზე, ინტერესთა კონფლიქტია – ყველა მოქმედ პედაგოგს უნევს გარე დაკვირვების გავლა და სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, შემფასებლებად ისინი ვერ აგვყავს.

ამ 17-მა ექსპერტმა, პირველ ეტაპზე, ინტენსიური ერთკვირიანი ტრენინგი გაიარა. ამის შემდეგ დაიწყო, მათთან ერთად, პირველი შეფასება (პირველი ეტაპი). მოხალისე პედაგოგების თითოეულ გაკვეთილს ორი შემფასებელი ჰყავს – პროფესიული უნარების ჯგუფის წევრი და ერთ-ერთი საგნის ექსპერტი. რა მიზანი აქვს ორმავე შემფასებელს? ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვაფასებთ ერთი და იმავე გაკვეთილს და შემდეგ ვადავებთ, რომ ვნახოთ, რამდენად კარგად მუშაობს ჩვენი რუბრიკა, შეფასების სქემა. ჩვენი მიზანია, რუბრიკა ისე დაიხვეწოს, რომ შეფასებები მაქსიმალურად ობიექტური იყოს – ორი დამოუკიდებელი შემფასებლის ქულები ერთმანეთს დაემთხვეს. ახლა სწორედ ამ პროცესში ვართ. შესაბამისად, პილოტირების პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე პირველ მარტს და ეს იყო მხოლოდ უშუალოდ რუბრიკის გამოცდა. რასაკვირველია, გაცილებით საინტერესოა სრული პროცესის პილოტირება. ბუნებრივია, შემოსული მასალა ისევე ჩვენი რუბრიკის დახვეწას მოემსახურება.

– როდის დაიწყება რეალური გარე დაკვირვება?

– სავარაუდოდ, მაისის ბოლოს უკვე უნდა იყოს რუბრიკის საბოლოო ვერსია. თვითონ რეალური გარე დაკვირვების დაწყება კი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს პროცესი რომ დაიწყოს, ყველა სკოლაში უნდა აღიჭურვოს თითო საკლასო ოთახი სპეციალური ტექნიკით. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ მასწავლებლებს გაკვეთილების ჩანერის შესაძლებლობა.

მიმდინარე პილოტირების პროცესში ჩვენს ტექნიკას ვიყენებთ. ორი ტიპის აპარატურა გვაქვს შექმნილი, რადგან, ამ ეტაპზე, აპარატურასაც ვცდით, რომელი უფრო მოსახერხებელი იქნება იმ მიზნისთვის, რასაც გარე დაკვირვება ემსახურება.

1 მარტს პილოტირება დაიწყო კასპში და რუსთაველი, თითოეულში – 10-10 სკოლა. პროცესი, დაახლოებით, 3 დღის განმავლობაში, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს – ერთი ტიპის ტექნიკა ერთ ქალაქში მიდის, მეორე ტიპის – მეორე ქალაქში იმის მიხედვით, რამდენი მსურველია სკოლაში. ძირითადად, 4 პედაგოგზე ვჩერდებით, რადგან დღეში ოთხ გაკვეთილზე მუშაობენ ვერ ვინერთ. ამასთანავე, ოთხი პედაგოგის 3-3 გაკვეთილი გვჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექნიკა, სამი დღის განმავლობაში, ერთ სკოლაში რჩება. პილოტირების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების ის სპეციალისტები, რომლებიც სკოლებზე არიან მიმავრებული. მათ ჩვენი ცენტრის IT დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაუტარეს ტრენინგი, როგორ მოხმარონ ტექნიკა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები პედაგოგებს ჩანერილი გაკვეთილების CD-ზე გადატანაში და, საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთილების ნახვაში უნდა დაეხმარონ. ჯერჯერობით, ეს პროცესი უხარვეზოდ მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თითო-ორი მასწავლებელს, დარეგისტრირების პროცესში, შეექმნა გარკვეული პრობლემა, შესაძლოა იმის გამო, რომ კარგად ვერ გაერკვება ინსტრუქციაში. სამომავლოდ ესეც დაიხვეწება. პილოტირება, რომელიც დაიწყო, სწორედ დეტალების გამოცდას ემსახურება, მათ შორის: როგორ დარეგისტრირდეს მასწავლებელი, როგორ შეარჩიოს გაკვეთილები, როგორ ჩაინეროს, როგორ მოვიდეს ჩვენამდე ეს ვიდეორჩანანერი და ა.შ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე დეტალურადაა განერილი ინსტრუქცია – რა უნდა გააკეთოს პედაგოგმა, რომ დარეგისტრირდეს, როგორ უნდა ატვირთოს გეგმა, შემდეგ რა ნაბიჯები გადადგას – ყოველ ნაბიჯს თავისი ინსტრუქცია ახლავს. თუმცა, გარკვეული შეკითხვები, ბუნებრივია, მაინც ჩნდება. იმიტომ, მუდმილი კომუნიკაცია გვაქვს სკოლების დირექტორებთან და თუ რაიმე ხარვეზია, ცვლილებები გამოსწორდება. ამ გადმოსახედვით შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული დაბრკოლება ჯერ არ ყოფილა, გაკვეთილების ჩანერა უპრობლემოდ მიმდინარეობს.

– სავარაუდოდ, რამდენი ხანი გაგრძელდება პილოტირების პროცესი?

– გაკვეთილების ჩანერა, დაახლოებით, 15 აპრილამდე გაგრძელდება. თითო სკოლაში აპარატურა სამი დღე რჩება. თუმცა არის სკოლები, სადაც უფრო მეტ მასწავლებელს აქვს სურვილი, მაგრამ, სამუხაროდ, ყველას ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან დროში ვართ შეზღუდული. მიუხედავად ამისა, იქ, სადაც ძალიან დიდია სურვილი, შეიძლება ცოტა უფრო დიდხანს დავტოვოთ აპარატურა, რომ მეტმა მასწავლებელმა ჩანეროს გაკვეთილები. პილოტირების გეგმა ისე გვაქვს განვიხილი, რომ ეს პროცესი, სავარაუდოდ, აპრილის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს. შემოვა, დაახლოებით, 106 გაკვეთილი, რომელსაც ჩვენ, ექსპერტებთან ერთად, უნდა ვუყუროთ და შევაფასოთ.

– როგორ მიმდინარეობს შეფასების პროცესი?

– ამ ვიდეორჩანანერებისთვის სპეციალურად შევიძინეთ საკმაოდ დიდი მოცულობის ფლეშკები (რადგან მასალა ძა-

ლიან დიდი მოცულობისაა), რომლებზეც ექსპერტებს ვუწერთ გაკვეთილებს. მათ ხელი აქვთ მონერილი იმაზე, რომ ეს სრულიად კონფიდენციალური მასალაა (თავიანთ კომპიუტერებში გაკვეთილებს არ ინერენ) და მათ გარდა ამ ჩანანერებს არავინ ნახავს. შეფასებულ გაკვეთილებს უკან გვიბრუნებენ, ჩვენ ვშლით და ახალს ვუწერთ და ა.შ. დღეს, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, ექსპერტთან უნდა შევაჯეროთ შეფასებები. ჩვენ ერთი და იგივე გაკვეთილი ვნახეთ და საინტერესოა, რამდენად დაემთხვა ჩვენი შეფასებები. ყოველი ასეთი ეტაპის გავლის შემდეგ, გაფართოებული შეხვედრები გვაქვს, სადაც რუბრიკის ინტენსიური დამუშავება მიდის, რომ ვნახოთ, როგორ შევცვალოთ ის, რამაც ვერ იმუშავა. ცოტა ხნის წინ გვექონდა სამდღიანი ინტენსიური შეხვედრა და გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ რუბრიკაში. ამ ეტაპსაც რომ დავამთავრებთ, შევიკრიბებით და ისევე შევიტანთ საჭირო ცვლილებებს.

მომავალ კვირას კიდევ ერთი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი სკოლებში შექმნილი შიდა დაკვირვების ჯგუფების წევრებისთვის. ბუნებრივია, ყველას ვერ ვაწვდებთ, მაქსიმუმ 30 ადამიანს (ერთ ტრენინგს რამდენიც შეიძლება დაესწროს) ჩაუტარებთ ტრენინგს – გავაცნობთ ამ რუბრიკას და აუხსენით, როგორ გამოიყენოს შეფასების პროცესში. თავის მხრივ, შიდა დაკვირვებისთვის, ისინი თავიანთ სკოლებში გაივლიან პილოტირებას და თავიანთი კომენტარებით, შენიშვნებით და მოსაზრებებით დაგვიბრუნდებიან.

– რა პრინციპით შეირჩა ეს 30 ადამიანი?

– მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შევჩერდით 10 სკოლაზე (პროცესი ძალიან რომ არ ვაინტერესო – ძირითადად, თბილისის). შიდა შეფასების ჯგუფში, სხვადასხვა სკოლაში, სხვადასხვა რაოდენობის ადამიანები არიან, მაგრამ ჩვენ ვთანხმდებით, რომ წარმოდგენილი იყოს 3-3 ადამიანი, რასაკვირველია, სხვადასხვა საგნის პედაგოგი. ყველა საგანი უნდა მოვცვათ. უკვე დავგეგმეთ სამუშაო გრაფიკი, მასალაც ავანყვეთ, რომ ორდღიანი ინტენსიური ტრენინგი ჩავატაროთ.

– თქვენთვის რითია საინტერესო შეფასების პროცესი?

– ჩვენთვის შეფასების პროცესი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც, შეფასების სქემის თვალსაზრისით, ინფორმაციულია. ყოველ ნაბიჯზე, ყოველი შეფასების შემდეგ ვხედავთ, რომ ამა თუ იმ კომპონენტს გარკვეული ცვლილება ეხება, კომპონენტი კი ბევრია, მაგალითად, ბავშვებთან კომუნიკაცია, გარე რესურსის ან სწავლების სტრატეგიების გამოყენება, შეფასების ან შინაგანი მოტივაციის კომპონენტები და სხვ.

რაც შეეხება შეფასების პროცესს, ზოგადად, რატომაც რთულად მიდის. პრინციპში, ყველა კომპონენტში, სულ რაღაც ცვლილებები შეგვაქვს – ან ვხედავთ, რომ რაღაც დაკვირვებადი არ არის და ამიტომ ამაზე უარს ვამბობთ; ან ვხედავთ, რომ რაღაც არასაკმარისია და დამატება საჭირო; ან გასამიჯნია, რომ გადაფარვა არ მოხდეს (რომელიც კომპონენტში გვაქვს და აღმოჩნდება, რომ მეორე კომპონენტშიც შეიძლება მოხდეს გადაფარვა, ამიტომ ცვლილებით გავმიჯნოთ) – ძირითადად, რუბრიკის დამუშავების პროცესი ამას გულისხმობს, ვხედავთ ადგილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტი და, რაც მთავარია, ძალიან ობიექტური და ზუსტი შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა.

გარე დაკვირვების დროს მასწავლებელმა გარკვეული ქულა უნდა მიიღოს, რომელიც ჯერ შეთანხმებული არ არის. როგორ დავეწეროთ ამ ქულას და სად გაივლის ზღვარი – ამისთვის კიდევ სპეციალური პროცედურა უნდა გავიაროთ. ჯერ კიდევ წინ გვაქვს შეთანხმების ძალიან რთული ეტაპი, რაც სწორედ ქულის დაწერას ეხება. გარე დაკვირვებაზე მასწავლებელი 5 კრედიტს იღებს, თან ამაზეა მიბმული სტატუსის შენარჩუნება. ამდენად უმნიშვნელოვანია, რომ ეს ინსტრუმენტი ძალიან ზუსტი და ობიექტური იყოს. ურთულესი ამოცანაა, რადგან გარე დაკვირვება ისეთი ინსტრუმენტია, რომ სუბიექტურობას ვერ გამოიცილება, მაგრამ ჩვენ ეს მაქსიმალურად უნდა მოვახერხოთ.

გასწორების პროცესზეც ვფიქრობთ – ერთი ადამიანი ვერ გაასწორებს, იქნება ორი შემფასებელი. მათ ქულებს შევადარებთ ერთმანეთს და, განსხვავების შემთხვევაში, დამატებით, პროცესში მესამე შემფასებელი ჩაერთვება. ჩვენი პილოტირება ამასაც ემსახურება.

როგორც ვითხარით, როდის დაიწყებთ რეალურ დაკვირვებას, ამის თქმა გვიჭირს, რადგან ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. განათლების სამინისტრომ უნდა შეიძინოს სათანადო აპარატურა და დამონტაჟოს ყველა სკოლაში, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. უბრალოდ, მაისის ბოლოს, ჩვენ მზად ვიქნებით – გვექნება ინსტრუმენტი და უკვე პილოტირებული პროცესი, გვეყვება კვალიფიკირებული შემფასებლები და კარგად გვეცოდინება, როგორ ვანარმოთ მასწავლებლების დარეგისტრირება. პროგრამა შემუშავებულია, თუ რამე ხარვეზი იქნება, პილოტირების პროცესი გამოაჩენს და გამოვასწორებთ. ძირითადი პრინციპი შემუშავებული გვაქვს, ბევრი რამ უკვე გარკვეულია და დადგენილი, მთავარია, რუბრიკის საბოლოო ვერსია შევათანხმოთ და არა მარტო ჩვენ, სამინისტრომაც გადადგას ნაბიჯები იმისთვის, რომ რეალური დაკვირვება დაიწყოს.

განათლება



მოტივაციის ამაღლება ქართული ენის ერთი კონკრეტული გაკვეთილის მაგალითზე პირველ კლასში

მუშავებთ, მან წარმოგიდგინოს, ჩვენ კი სპექტაკლით ვისიამოვნოთ.

არც ერთი უკმაყოფილო სახე, მხოლოდ – გულწრფელი აბლოდისმენტები. ვკითხვოდ:

– როგორი ამინდი უყვართ მწერებს?

აღვნიშნავთ, რომ მათ სითბო უყვართ. ვეუბნები, თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს შესწავლილ მასალას, შესაძლოა, მეტის გაგების სურვილი გაგვიჩნდეს. გინდათ გავარკვიოთ, წლის რომელ დროს და რატომ გრძობენ ისინი თავს ლაღად? კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შესწავლილი. ამისათვის „იდუმალი ყუთი“ მოვიტანე. მოდიტ ვგუფურად ვიმუშაოთ.

ინტერესი მაღალია. ერთი სული აქვთ, როდის მივლენ ყუთთან.

დავალეხის ფორმა ნებისმიერია: ნახატი, ჩანაწერი, ლექსი... ვუმატებ, თუ რომელიმეს ამ ეტაპზე არ ავირჩევთ, არაფერია, თემა გაგრძელდება, შემდეგში გავაკეთებთ.

მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით დიდაქტიკურ, შემეცნებით თამაშს ვინწყებთ. ვიდრე ისინი თამაშით („რომელია ზემდგომი თვე“) ერთობიან, მე მათთვის დაფაზე ბარათს ვამაგრებ. ბარათი ასეთია:

ღმერთმა გიმშველოთ ჩემი შველისთვის!

იმედი მაქვს, მომდევნო გაკვეთილზე უფრო გამახარებთ!

მრავალი წელია მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მეთოდების გაუმჯობესებაზე. სწავლების დღევანდელი მოთხოვნები ეფუძნება ჰუმანურ პედაგოგიკას. ესაა ძებნა უკეთესისა. მასწავლებლის ცხოვრების გზის ერთი ურთულესი მონაკვეთი პედაგოგიური მუშაობაა. ბავშვს ჩვენ ვჭირდებით. მის ძალეებს საზღვარი არა აქვს. ყველას შეუძლია კარგიც იყოს და ისწავლოს კიდევ. თითოეულმა პედაგოგმა მიზნად ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება უნდა დაისახოს.

ამ ეტაპისათვის იციან ჯგუფური მუშაობის ელემენტარული ნესები „იდუმალი ყუთიდან“ მწერების სახელები უნდა ამოიღონ და ისაუბრონ მის გარშემო. კლასი მცირერიცხოვანია და სამ ჯგუფად ვყოფ. დაჯგუფებას ისე ვახდენ, ვერც კი ხედებიან, რომ ეს თავად არ გაუკეთებიათ. მუშაობაში ერთმანეთს ეხმარებიან; ინფორმაციას ავსებენ და ამკარაა, ყველა მონაწილე ბული და აქტიურია. ერთმანეთთან თანამშრომლობენ. მშვენივრად აკეთებენ პრეზენტაციას.

ბარათი დიდ ინტერესს იწვევს. იმ წამს ვხვდებით, რომ მიზანს მივალნივ. შესვენებაზე რამდენიმე წერილს ვიღებ. მწერენ, ჩვენი იმედი გქონდეთო.

სწავლების დღევანდელი მოთხოვნები ითვალისწინებს სწავლისა და სწავლებისათვის საჭირო ახალ მიდგომებს და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. სწავლება ნაყოფიერია მაშინ, როცა ინდივიდი მზად არის ამისათვის. მას სურს, რომ რაღაც იცოდეს. მოსწავლის სწავლისათვის მომნიშვნელო დრო სჭირდება. მასწავლებელი ეხმარება მას ამ პროცესის დაჩქარებაში. მასწავლებელი, რომელიც მოახერხებს თბილი, თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეებს სწავლისადმი დადებით განწყობას აღუძრავს. საკლასო გარემოში ხელი უნდა შეუწყოს მის სწავლით დაინტერესებას. საინტერესო აუდიოვიზუალური მასალა – ბუკლეტები, პლაკატები, სხვადასხვა თვალსაჩინოება ბავშვის ყურადღების მობილიზებას იწვევს, აღძრავს ცნობისმოყვარობას და დადებითად მოქმედებს მოტივაციაზე. შინაგანი მოტივაცია უფრო ხანგრძლივი და მართვადა, ვიდრე გარეგანი, ვინაიდან ეს უკანასკნელი მანამდე არსებობს, სანამ მოსწავლე კონკრეტულ ჯილდოს და შექებას იღებს. სასწავლო მასალის სწორი ორგანიზება ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ჩამოყალიბებას. რაც უფრო მეტად მოტივირებული არიან ბავშვები, მით მეტია სწავლის ხარისხი.

ახლა კი მე ვერთვები და ვეკითხები: როგორი ამინდი უყვართ მწერებს, როდის დაფრინავენ ლაღად?

სასურველ პასუხს ვიღებ. მათ სითბო უყვართ. ვცდილობ, პარალელი გაველებინო სითბოსა და სიცივეს, გაზაფხულსა და ზამთარს შორის. ვეუბნები, თუ უფრო მეტი ინფორმაცია გვინდა მივიღოთ, მოდიტ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს ჩავხედოთ და ამოვიცნოთ წელიწადის დროები.

ვახდენთ დაფაზე წინასწარ განთავსებული სიტყვების წერილობითი კოდის გამოფერას: მაქვს ზამთარსა და გაზაფხულთან ასოცირებული სიტყვები (ფიცი, სიმწვანე, მერცხალი, მზე, ქარი, შექება, ფანტელი, ია). მათი დახმარება მჭირდება – სიტყვები ამერია, უნდა დავაჯგუფოთ. ხალისით ერთვებიან მუშაობაში. წარმატებით ართმევენ თავს.

მეორე დღეს კი მათი პატარა ხელებით შესრულებულ ნამუშევრებს ალტაცებაში მოვყავარ. გარდა იმისა, რომ ყველას შეუსრულებია დავალება თემატიკა მრავალფეროვანია და ნააზრევის გადმოცემის სახეც. თავის, ნელის, მარის პლასტილინით გადმოუციათ გაზაფხულის სურათი. ნელის სულ ერთ ფერში აქვს შესრულებული, მაგრამ აცხადებს, მინდოდა ყველასგან განსხვავებული ნამუშევარი მქონოდა, ასე გავაკეთე, მაინტერესებდა, როგორ მოეწონებოდა ჩემს მეგობრებსო. რა თქმა უნდა, ის შექებას იმსახურებს. ამავე დროს, ბავშვებისაგან რჩევასაც იღებს. ურჩევენ, სხვა დროს ფერებიც გამოიყენოს.

მოსწავლე უფრო დიდი ხალისით სწავლობს მაშინ, როცა მისი შინაგანი მოტივაცია და კლასის ენთუზიაზმი ერთმანეთს ემთხვევა. ისინი გამოცდილებას შრომის პროცესში იძენენ, როცა წერენ, კითხულობენ, თხზავენ და წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას. ამ დროს თუ შეავაგონებთ, რომ ის პრობლემოყვარე, ინტერესიანი და მოტივირებულია, შეიძლება მართლაც ასეთი გახდეს. ეს შანსი ხელიდან რომ არ გაუშვიათ, უნდა ვეცადოთ დასაძლევნი დავალებები მივცეთ. ამით მივცემთ სტიმულს შეასრულოს დავალება და თანაც – კარგად.

ზამთრის თვეები უკვე იციან. ვიმეორებთ, ვაანალიზებთ კიდევ ერთხელ, ვისხენებთ, რომ თებერვლის რამდენიმე დღე ზამთარიც მიიწურება; დადგება გაზაფხული, შემოაბიჯებს მარტი. თუ გვინდა გაზაფხულის თვეები კარგად გავიცნოთ, ჯერ პლაკატს დავაკვირდეთ, შემდეგ გავხსნათ ბუკლეტი, შევიდეთ ქართული ენის პროგრამის მეორე დონეში, მოვძებნოთ წელიწადის დროები, დავათვალიეროთ გაზაფხულის სურათი და იქნებ სურათსა და პლაკატს შორის მსგავსება აღმოვაჩინოთ.

ნინის გაზაფხულისთვის წერილი მიუწერია. „მიყვარხარ, გელოდები, ჩიტები ააჭიკჭიკე, პუპლები მოიყვანე. ლამაზი კაბა მაქვს და დედამ მითხრა, პუპლები რომ გამოვლენ, მაშინ ჩააცმევო. ძალიან მეჩქარება, მალე მოდი“.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს, თუ როგორ ვიმუშავე მოტივაციის ამაღლებაზე | კლასში მშობლიური ენის გაკვეთილზე. ცხოველებისა და ფრინველების თემა „პეპელა და ფუტკარი“ დავამთავრე, უნდა ავხსნა „ოთხი დრო“ – საკმაოდ ფართო მასალა. პირველი კლასი პირველი ნაბიჯებია ცოდნის დიდ სამყაროში. ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ აბსტრაქტული აზროვნების უნარი და თუმცა დიფერენცირებული სწავლების საჭიროება არაა, მაინც ცოტა არ იყოს რთული მეჩვენა მიზნის მიღწევა. ვაცნობიერებ რა ბავშვის შესაძლებლობებს და ამ უნარების წინ ნამოწვევად მოტივაციის უდიდეს როლს, ძირითად აქცენტს სწორედ მასზე ვაკეთებ. ბავშვის განვითარება აქტივობის პროცესშია შესაძლებელი, რაშიც გადაწყვეტ როლს ასრულებს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. ამიტომ გამოწვევას – პროვოცირებას ინსცენირებით ვინწყებ. საშინაო დავალებად „პეპელა და ფუტკარი“ აქვთ. პეპელა და ფუტკარის როლის შემსრულებელს მე არ ვარჩევ, მხოლოდ წინადადებას ვანვდი:

ასახელებენ გაზაფხულის თვეებს. ამბობენ, პლაკატი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მარტში ხის ტოტზე პანანა კვირტებია. აპრილში იგივე ტოტი აყვავებულია, მაისში კი ვარდია გაშლილი. ბუკლეტი მოცემულ სურათზე ყვავილები ყვავის. თბილა, ხეები ამწვანებულია, პუპლები დაფრინავენ. ცაში ჩიტებიც ჩანან. ორივე წლის ერთსა და იმავე დროზე მიგვანიშნებს.

ამ ფრაზებით გაზაფხულის სურათი მივიღეთ. ვახდენთ მუშაობის შეფასებას. ვინაიდან ქულებით არ ვაფასებთ, გარეგანი მოტივაცია არ გამოადგება. აქცენტი ისევ შინაგანზე გადამაქვს. გამოვიყენებ შეფასების რუბრიკის ასეთ ცხრილს:

შეფასების კრიტერიუმები	ნორმალური	კარგი	ძალიან კარგი
თანამშრომლობა			V
ჩართულობა			V
საშინაო დავალებას შევასრულე			V

სოსოს ლამაზი ლექსი უსწავლია. ბოლოს ვაჯამებ. გაზაფხულის სურათის მთლიანობაში გადმოსაცემად ყველა აქტიურობს. ვაფასებთ საშინაო დავალების შესრულების ხარისხს. ახლა შეფასების რუბრიკის მესამე კომპონენტად გვაქვს არა როგორ შევასრულებთ, არამედ უკვე როგორ შევასრულეთ საშინაო დავალება. ყველაფერს ობიექტურად აფასებენ.

შეფასებას ერთად ვაკეთებთ. ვაძლევ საშინაო დავალების არჩევის უფლებას. დაფაზე მაქვს ჩამონერული თემატიკა:

1. ამინდი გაზაფხულზე
2. მცენარეთა ცვლილება
3. ინფორმაცია ფრინველების ცხოვრებაზე გაზაფხულზე
4. მწერების ცხოვრებაზე
5. ცხოველების ცხოვრებაზე

უკეთესი მომავლის იმედი შეძლევს. გასაკეთებელი გაკეთებულია. ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდით.

ვხვდები, სწორად ორგანიზებული სასწავლო კურსი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების საშინაო, რასაც ხელს უწყობს მასწავლებლის მეტყველებაში ხშირად გამოყენებული ფრაზები: „მე ვფიქრობ, თქვენ შეძლებთ“, „მაინტერესებს თქვენი აზრი“, „თქვენს გაზრდას, დამეხმარეთ“, „იქნებ, საინტერესო, ახალი აღმოაჩინოთ“...

ერთი რამ კი ყოველთვის უნდა მახსოვდეს, არ დაუშვა მწვავე კონკურენცია მოსწავლეებს შორის; შეძლებისდაგვარად მივცე არჩევანის უფლება; გამოვიყენო სასწავლო მეთოდთა მრავალფეროვნება; შექება აძლიერებს ბავშვის თვითშეფასების უნარს, უნერგავს რწმენას და ზრდის მის კომპეტენციას; მაქსიმალურად ვერიდო დაუფიქრებლად ნათქვამ ერთ სიტყვასაც კი; მივცე საშუალება, თავად გამოასწოროს შეცდომა და მიაგნოს სწორ პასუხს; შევქაო მისი ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა.

ამგვარი მოპყრობით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ მოთმინების, წარმატების მიღწევის, რეალურობის განცდის უნარი, რაც გაზრდის მათ მოტივაციას. იმაზე მაღალი ცნობიერება არ არსებობს, ვიდრე რწმენაა.

მასწავლებლის ნიჭსა და უნარზე დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლება კლასში, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას.

ნანული პორაშვილი
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის დანერგული კლასების მასწავლებელი



ინფორმაცია

ინკლუზია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები საქართველოში

ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პარტნიორობით, 12-13 მარტს, ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით: „ინკლუზია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები საქართველოში“. კონფერენცია ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა **ზაზა ფურცელაძემ** გახსნა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილე საქართველოში **ტიფანი სედლერი**.

„კონფერენციის მიზანია ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემოქმედით, სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს, გავაცნოთ ბრიტანეთის საბჭოს ხედვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსს) და ინკლუზიური განათლების სფეროს საკითხების შესახებ და ხელი შევუწყოთ დიალოგს, დისკუსიას და წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას ამ სფეროში“ – განაცხადა ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა **ზაზა ფურცელაძემ**.

კონფერენციამ უმასპინძლა საჯარო სკოლების, დაახლოებით, 120 მასწავლებელს, სკოლის დირექტორებს, რესურსცენტრების ხელმძღვანელებსა და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ინკლუზია გულისხმობს, რომ სწავლაზე და სკოლის სასწავლო გეგმაზე წვდომა აქვს ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მათი ინდივიდუალური გამოწვევებისა. წარმატებული სწავლა-სწავლება მოიცავს ყველა მოსწავლეს და წარმოაჩენს იმ წვლილს, რომელიც თითოეულ მოსწავლეს შეაქვს სწავლის პროცესში. ამდენად, ინკლუზია ყველას ინტერესშია და ყოველი ინდივიდის უნიკალური წვლი-

ლი ერთნაირად მნიშვნელოვანია. კონფერენციის პირველ დღეს, მომხსენებლებმა და ფორუმის მონაწილეებმა ისაუბრეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების პოლიტიკის შესახებ საქართველოში, როგორ ხდება ინკლუზიური სწავლების პოლიტიკის მხარდაჭერა სამთავრობო დონეზე და რა არის დღემდე გაკეთებული. მათ აგრეთვე მიმოიხილეს არსებული გამოწვევები. ბრიტანელმა ექსპერტმა ისაუბრა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკისა და გამოცდილებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სფეროში, აღნიშნა რამდენად მნიშვნელოვანია ხარისხიანი სწავლა-სწავლება ყველასთვის, მიუხედავად ფიზიკური შესაძლებლობებისა.

კონფერენციის მეორე დღე დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორცაა ინკლუზიური სწავლების პრაქტიკული განხორციელება, ამ ტიპის სწავლების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევები და პრაქტიკული სტრატეგიები. მომხსენებლებმა ასევე ისაუბრეს სპეციალური საჭიროებების ამოცნობის ხერხებზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცესსა და მნიშვნელობაზე, მოსწავლეთა შეფასების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო პროგრამის ემპირიული კვლევის დარღვევების და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შემთხვევებს.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „კონფერენციაზე ვისაუბრეთ ინკლუზიურ განათლებაზე და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე. ამ კუთხით, ჩვენს საქმიანობაში ჩართული იყო ბრიტანეთის საბჭო, რომელმაც უზრუნველყო წამყვანი ბრიტანელი ექსპერტების ჩართულობა ჩვენთვის ამ ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე – ინკლუზიური განათლება საწყის საფეხურზე. მათ მონაწილეობა მიიღეს პედა-



გოგების გადამზადებაში. მოგეხსენებათ, ეს სერვისები ახალია სკოლაში, მუდმივად სჭირდება განვითარება და დახვეწა, აქედან გამომდინარე, მართლაც გადაუდებლად მნიშვნელოვანი იყო ამ მიმართულებით, საერთაშორისო დონის, წამყვანი ექსპერტების ჩართულობა. დაგეგმილია მომდევნო – საბაზო და საშუალო – საფეხურებზე ჩართულობა, რაც ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. 2014 წელს საქართველო შეუერთდა კონვენციას შესაბამისად, ჩვენ 24 მუხლის ფარგლებში გვაქვს აღებული ვალდებულება, შევქმნათ თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. გარკვეული წარმატებები უკვე მიღწეულია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რესურსების სერვისების, მასწავლებელთა მომზადების მხრივ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ განვითარებად ეტაპზეა. ამიტომ იმედს ვიტოვებთ, რომ ამ კუთხით, საერთაშორისო დონეზე, კიდევ გავრძელებთ მუშაობას“.

ზაზა ფურცელაძე, ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი საქართველოში: „დღევანდელი კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს ერ-

თობლივი ღონისძიებაა, რომლის მთავარი თემაა ინკლუზია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. მოგეხსენებათ, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს კორპორაციული ფასეულობების საფუძველს ქმნის. ვფიქრობთ, საზოგადოება უნდა მოერგოს ინდივიდის საჭიროებებს. ამ პროცესში სკოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კონფერენციის ფარგლებში მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ამ კუთხით არსებულ მონივნებს, როგორც ადგილობრივ, ასევე ბრიტანულ გამოცდილებას. კონფერენციის მეორე დღე მიეძღვნა კონკრეტულ სემინარებსა და ვორქშოპებს, რომლის ფარგლებშიც კონკრეტულ უნარ-ჩვევებს განვიხილავთ“.

დევიდ ქეფთერი, განათლების ექსპერტი: „მოსარული ვარ, რომ ამ კონფერენციაზე მომიწივს, ძალიან სასიამოვნოა ამ თემით დაინტერესება. რამდენიმე პედაგოგი უკვე იმყოფებოდა ბრიტანეთში და იკვლევდა ჩვენს გამოცდილებას ინკლუზიისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სფეროში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ქართულ და ბრიტანულ გამოცდილებას, ძალიან მნიშვნელოვანია“.

ფილიპ დექსტერი, ინკლუზიური სწავლების სპეციალისტი: „პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არ შეიძლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირებს მარტო სამედიცინო კუთხით მივუღვივოთ. ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ ეს არის საგანმანათლებლო სფეროს განუყოფელი ნაწილი. პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა, თუ როგორ იმოქმედონ და როგორ ასწავლონ ასეთ ბავშვებს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვიმუშაოთ მედიკოსებთან თუ ფსიქოლოგებთან და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან. მაგრამ უპირველესია, რომ დავიწყოთ განათლებიდან და პედაგოგებმა იმუშაონ ამაზე“.



ესეების სტუდენტური კონკურსი „ჩემი რუსთაველი“

რუსთაველის თეატრში, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ერთობლივად წარმოადგინეს სტუდენტური ნაშრომების ეროვნული კონკურსი „ჩემი რუსთაველი“.

კონკურსის შესახებ ისაუბრეს: გაეროს ხელმძღვანელმა საქართველოში – **ნილს სკოტმა**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა – **თამარ სანიკიძემ**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა – **მიხეილ გიორგაძემ** და საქართველოში შვედეთის საელჩოს წარმომადგენელმა – **ჰელენა სანჩომ**.

პრეზენტაციის მსვლელობისა გაიმართა მცირე თეატრალური წარმოდგენა. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა – ქეთი ხიტორმა და ნიკა ქაცარიძემ – წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

პრეზენტაციას დაესწრნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის რექტორები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ვფიქრობ ღონისძიება, რომელიც ახალგაზრდებს ეძღვნება, მართლაც

მნიშვნელოვანია. კონკურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდნენ რუსთაველს, აგრეთვე, აქვთ უნიკალური შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, ნაშრომები ამ თემის ირგვლივ. კონკურსი „ჩემი რუსთაველი“ იმითაც მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წაადა გამოცხადებული. ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში, მსგავსი სახის და კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდება, რაც ნამდვილად მისასალმებელია“.

მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „ისეთი საკითხები, როგორცაა, პიროვნების თვისუფლება, მეგობრობა, გენდერული თანასწორობა, ქართული კულტურული გენეტიკის განუყოფელი ნაწილია და ამის ნათელი დადასტურებაა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქალი მეფის მმართველობის პერიოდში შეიქმნა, სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც ოქროს ხანას უწოდებენ, სადაც ქალს ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონაც ჰქონდა და ძალიან ღირსეული საზოგადოებრივი პოზიცია ეჭირა. დიდი იმედი მაქვს, სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან კონკურსში. მიხდა ყველას წარმატება ვუსურვო“.

ნილს სკოტი, გაეროს ელჩი საქართველოში: „დღეს გაგაცნობთ ესეების კონკურსს, სახელწოდებით „ჩემი რუსთაველი“,

რომლის ფარგლებშიც, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს აღნიშნავენ. რუსთაველის მოღვაწეობას საქართველოს ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ის საუბრობს მე-12 საუკუნის იმ ღირებულებებზე, რომლებიც 21-ე საუკუნეშიც აქტუალურია, როგორც არის, მაგალითად, მეგობ-

რობა, თანასწორობა, საზოგადოების პატივისცემა და ა.შ. ამ კონკურსით გვინდა, რომ ახალგაზრდებმა ეს ღირებულებები დღევანდელ რეალობაში გადმოიტანონ და საზოგადოებას თავიანთი შეხედულებები გაუზიარონ. ვფიქრობ, ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა და მოუთმენლად ველი კონკურსის შედეგებს“.



ინფორმაცია

სამწახარო რეალობა



ნორჩი პატარადალი თავის სახლში ელოდება სიძეს



ნორჩი პატარადალი საქორწილო კაბას აჩვენებს თანაკლასელებს

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ორგანიზებით, 2016 წლის 11 მარტს, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, დარო სულაკაურის ფოტოგამოფენა „დაკარგული სიყმაწვილე“ გაიმართა.


დარო სულაკაური ახალგაზრდა ქართველი ფოტოგრაფია, რომლის ნამუშევრები პოპულარობით სარგებლობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ის რამდენიმე პრესტიჟული პრემიის ლაურეატია, მათ შორისაა ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში.

ფოტოგამოფენა, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწოების“ ფარგლებში, ჩატარდა. მისი მიზანია, ხაზი გაუსვას ადრეული ქორწინების საკითხის აქტუალობას და, ქორწინებაში მყოფი მოზარდების ფოტოების საშუალებით, ნათლად წარმოაჩინოს საქართველოში არსებული სამწახარო რეალობა, რომელიც ადრეული ქორწინების პრაქტიკას უკავშირდება. საქართველოს მოქალაქეების ფოტოგრაფის თვალთ დანახული ყოველდღიურობა ადრეული ქორწინების პრობლემების სიღრმეებს გვიჩვენებს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ლელა ბაქრაძის თქმით, „ადრეული ქორწინება გოგონებისთვის მძიმე შედეგების მომტანია, ხშირ შემთხვევაში, მათ სოციალურ და უფლებრივ გარიყვას იწვევს და ხელს უშლით განათლების დასრულებაში. მოზარდის ასაკში ორსულობა და მშობიარობა კი დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს. ადრეული ქორწინების გამოწვევი მიზეზები კომპლექსურია და შესაბამისად, ვითარების გასაუმჯობესებლად, მრავალმხრივი მუშაობაა საჭირო, როგორც პოლიტიკის და კანონმდებლობის დონეზე, ასევე თვითონ მოზარდებთან, მათი დამოკიდებულების შესაცვლელად“.

გამოფენა განამტკიცებს მოსაზრებას, რომ ამ მავნე პრაქტიკის პრევენციისა და მოზარდი გოგონების დასაცავად შესაბამისი ზომებისა და ქმედებების განხორციელება გადაუდებლად უნდა დაიწყოს. ამ პროცესში სკოლის და პედაგოგის როლი უმნიშვნელოვანესია.

რევაზ თოფურიანი



მშობელთა ჩართულობით მიღწეული შედეგი

მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი და მშობელი მთლიანი ჯაჭვის ცალკეული რგოლებია, მხოლოდ მათ ერთიანობას შეუძლია ნათელი კვალის დამჩნევა ბავშვზე. სადაც მშობელი და მასწავლებელი თანამშრომლობს, იქ მაღალ დონეზეა მოზარდის სულიერებაც და სწავლის ხარისხიც.

ცაგერის საჯარო სკოლის (დირექტორი – დავით ცვარიანი) კარი ყოველთვის ღიაა მშობელთა სტუმრობის, ვაკეითლებზე მათი დასწრების, აზრის მოსმენის, გათავისებებისა და პრობლემების მოგვარებისთვის. თვით უმნიშვნელო საკითხებიც არასდროს წყდება მშობელთა ჩართულობის გარეშე, ღონისძიებებიც მათი მონაწილეობით იგეგმება. ასე იყო მაშინაც, როცა მე-5 კლასმა იაკობ გოგებაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მოაწყო და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინა, დავისმართე სამხატრო სკოლის მასწავლებლები, ჩვენი სკოლის მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები – მაკა დავითიანი და გია ლეთოდიანი, კულტურის სახლის დირექტორის მოადგილე დარეჯან საღინაძე, რომელიც, იმავდროულად, ჩვენი კლასის მშობელიცაა, მეთერთმეტეკლასელები – იური საღინაძე და სოსო გუგავა. მოვანყვეთ არაჩვეულებრივი გამოფენა – თავების მიხედვით დავასურათეთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?!“, იმავე მოთხრობის მიხედვით დავდგით სპექტაკლი...

უჩვეულო მზადება ჰქონდათ მეხუთეკლასელებს მარტშიც: გაზაფხულის შემოსვლისა და

დედის დღის აღსანიშნავად თადარიგი ერთი თვით ადრე დაიჭირეს, მშობლებთან ერთად დაგეგმეს ღონისძიება და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვენ ამ გეგმას. სკოლის დირექტორმა მოგვამარაგა საჭირო რესურსებით, ხელოვნების ვაკეითლებზე მოსწავლეებმა ლამაზი ბარათები დაამზადეს, დანერეს მისალოცი ტექსტები დედებისთვის, მასწავლებლებისთვის, მამიდებისთვის, დეიდებისათვის და დაარიგეს, დაამზადეს მოსწავვენი ბარათები.

შეისწავლეს სიმღერები და საგანგებოდ ამ დღისთვის დადგეს ცეკვები... სკოლის ხელოვნების დარბაზის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ქართველი და უცხოელი პოეტებისა თუ მწერლების ლექსები, გამონათქვამები დედაზე. ბავშვებმა დედებს და მასწავლებლებს რუსულ და ინგლისურ ენებზე (მასწავლებლები: ჩიტო ჩაკვეტაძე და ნინო აფაქიძე) მიულოცეს დღესასწაულები. არ დავიწყებიათ გმირი დედების სადიდებელი, მათი როლი ჩვენს ისტორიაში. ზეიმის ბოლო აკორდიც ასეთი იყო: გადაშენება არ უნერია ერს, რომლის დედამ ჯერ ვეფხვისგან დაფლეთილი შვილი დაიტრია, მერე კი თქვა: „...უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა? იქნება ვეფხის დედაი ჩემებრ დღედაღამ ტირისა? წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“.

შორენა ხატიანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მე-5 კლასის დამრიგებელი



შეცვალე დამოკიდებულება

საბურთალოს რაიონის გამგეობის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, თბილისის №203 საჯარო სკოლაში, დედის დღისადმი მიძღვნილი შოუ-კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას, რომელიც საბურთალოს რაიონის გამგეობის გრძელვადიანი პროექტის „შეცვალე დამოკიდებულება“ ფარგლებში დაიგეგმა, ესწრებოდნენ საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე და გამგებლის მოადგილეები. კონცერტში მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები, ქორეოგრაფიული და ვოკალური ბავშვთა სკოლა-სტუდიების წარმომადგენლები, ანიმატორების შოუ წარმომადგენლებს არტ-კოალიცია „თანამედროვე თეატრის“ მსახიობებმა. ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა ღია ვაკეითილი, რომელსაც ორი დიზაინერი

ხელმძღვანელობდა.

სკოლის აღსაზრდელებს საბურთალოს რაიონის გამგეობამ სადღესასწაულო საჩუქრები გადასცა, ბავშვებმა კი დარბაზში მყოფი დედები ყვავილების თაიგულებით დაასაჩუქრეს.

ამასთან, სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, მოეწყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ნამუშევრების – ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

თბილისის №203 საჯარო სკოლაში ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვები სწავლობენ. ღონისძიება საბურთალოს რაიონის გამგეობის სამთვინი პროექტის „შეცვალე დამოკიდებულება“ ფარგლებში განხორციელდა. პროექტი შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ისახავს მიზნად.



სპორტი

ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს

ხელბურთელი გოგონების ნაკრებმა, რომელიც, ძირითადად, 1998-99 წლებში დაბადებულიები დააკომპლექტებული, მეორე ადგილი დაასრულა გამოსვლა თბილისში ჩატარებულ IHF/EHF ქალთა მსოფლიოს თასზე. შეგახსენებთ, რომ ეს იყო რეგიონული ტურნირი, რომელსაც გაისად ინტერკონტინენტალურ თასზე გამსვლელი ერთი ევროპული გუნდი უნდა გამოეყვინა. ამდენად, ჩვენმა ნაკრებმა ეს უფლება ვერ მოიპოვა, თუმცა ძნელია, მის გამოსვლას წარუმატებელი უწოდო, რადგან მოუგეს კვიპროსს, ლატვიას და ბელგიას. შარშან თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი რომ არა, ეს გუნდი არც გვეყოლებოდა, ის სწორედ იმ ფესტივალისთვის შეიქმნა და ქალთა ხელბურთის მთელი სიმძიმე ამ გოგონების ზურგზე გადადის. ნაკრებში შედიან როგორც თბილისური კლუბების - „პეგასისა“ და „მამულის“, ასევე რეგიონების ხელბურთელები ფოთიდან, წყალტუბოდან და ყვარლიდან.

ჩვენებმა ტურნირის სადებიუტო შეხვედრაში კვიპროსი 33:10 რომ დამარცხა, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაცნობთ. არადა, 10 წლის წინ, ამ შეჯიბრების წინამორბედ „ჩელენჯეროვზე“ კუნძულებთან 18:23 წაგავით. თუმცა, ეს არაფერი ყოფილა იმ მოულოდნელობასთან შედარებით, რასაც თურმე ჩვენი გოგონები მეორე ტურში ლატვიასთან გვიმზადდებდნენ - ამ საკმაოდ ძლიერმა გუნდმა, რომელიც იმთავითვე ჩვენი მთავარი კონკურენტი ჩანდა ქვეყნულ პირველობისთვის ბრძოლაში, 31:25 მოიგო და ნახევარფინალში გასვლა გაინაღდა. ალბანეთთან ჩვენები ფავორიტები იყვნენ და მათ მართლაც იოლად მოუგეს - 44:6, რითაც ნახევარფინალის საგზურს ჯგუფში პირველობაც დაუზღვეს.

იოლი მეტოქე არც ნახევარფინალში ჰყავდათ - ბელგიის ნაკრები, რომელიც ევროპული საზომებით სულაც არაა ხელნაშობსაკრავი გუნდი. საბედნიეროდ, ლატვიელთა შემდეგ ჩვენებმა კიდევ ერთხელ გაგვაოცეს და

სოლიდურ მეტოქეს მარცხიც სოლიდური აგემეს - 18:14 მოუგეს. გამარჯვება არ იყო იოლი, მეტიც - ბელგიელები თავიდან იგებდნენ, საქართველოს ნაკრებმა კი ბედის ჩარხი სათავისოდ მხოლოდ ბოლო 10 წუთში შემოაბრუნა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბელგიელთა მეკარე **ემილი სმეტი**, ვინც მხოლოდ პირველ ტაიმში 7 პენალტიდან 5 მოიგერია... ცხადია, ეს ჩვენების სისუსტეზეც მიუთითებს. ამას ისიც დაემატა, რომ თამაშის ამავდროულად მასპინძლებმა ვერც ერთხელ ვერ ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით - მსაჯმა ბელგიელები ასევე შეიძვერა გააძევა 2-წუთიანი... ეტყობა, ეს ხარვეზები სასტარტო მდებარეების ბრალი იყო, თორემ მეორე ტაიმში **გიორგი გვაზავას** შეგორდებმა თანდათან დააღაგეს თამაში და ანგარიშიც გაათანაბრეს, იმ ბოლო 10-წუთიან მონაკვეთში ჩვენი მეკარე **მარიამ ჩაჩუა** გამოიჩინა კარგი თამაშით და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. გადაწყვეტ მომენტებში ზედხედავდა ორი სწრაფი გარღვევით თამაშში გარდატეხა შეიტანა გუნდის კაპიტანმა **ქრისტინე დვალაძემ**, კარგად ითამაშეს **ქეთი კუნელაშვილმა**, **მარიამ ჩოხეიძემ**, ანა ყველაშვილმა, **თამარ ჩოგვაძემ**.

ფინალში ჩვენების მეტოქე ფარერის კუნძულების გუნდი აღმოჩნდა, რომელიც ევროპაში აღიარებული ერთ-ერთი საუკეთესო დანიური სკოლის წარმომადგენელია - მოგესვენებთ, კუნძულები დანიის სამეფოში შეიქმნა და ხელბურთი იქაც, როგორც დანიაში, ზეპოპულარულია, ოღონდ დანიისგან განსხვავებით, ხელბურთი კუნძულებზე ნომერ პირველი სპორტი - 50 000-იანი მოსახლეობიდან იშვიათად იპოვით ვინმეს, ვისაც ხელბურთი არ უთამაშია. ფინალში ფავორიტად უკვე სტუმრები მიიჩნეოდნენ და საბოლოოდ მოიგეს კიდევ - 28:14. მათი ამოცანა იმანაც გააიოლა, რომ, ჯერ კიდევ პირველივე ტაიმში დაშვდა (მხარი იტკინა) ჩვენი ერთ-ერთი ლიდერი - კუნელაშვილი და თამაში ვეღარ გააგრძელა, მეორეში კი მას **თათია გადელი-**



აც შეუერთდა. არ ვამბობთ, რომ მოედანზე მათი ყოფნის შემთხვევაში აუცილებლად მოვიგებდით, მაგრამ კუნელაშვილის გამოკლებამდე სხვაობა მინიმალური იყო. ფარერებისთვის ეს მეხუთე ფინალი იყო, მაგრამ პირველად მოიპოვა ჩემპიონობა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ თამარ ჩოგვაძე აღიარეს, ვისაც ფინალის დღეს - 13 მარტს შეუსრულდა 18 წელი. მასვე მეორე პრიზიც გადაეცა - მარჯვენა შუამარბებს შორისაც საუკეთესოდ აღიარეს. ტურნირის ორგანიზებისთვის ევროპის ხელბურთის ფედერაციისგან სპეციალური პრიზი მიიღო საქართველოს ხელბურთის ფედერაციამაც.

ბუნებრივია, ცუდია, გაისად ინტერკონტინენტალურ თასზე რომ ვერ ვითამაშებთ, მაგრამ ეს ტურნირი დიდ ბიძგს მისცემს საქართველოში ქალთა ხელბურთის აღორძინებას. უპირველესად, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ის კრიტიკოსები გაჩუმდებიან,

რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქალთა ხელბურთში ფულის დახარჯვა არ ღირს და აჯობებს, ის თანხა ვაუტებზე მიმართონ - ბრმაც კი დაინახავს, რომ ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. სავსებით სამართლიანი იყო სპორტის ახალ სასახლეში შეკრებილი 1000-ზე მეტი მაცურებლის რეაქცია, რომელმაც წაგების მიუხედავად, ჩვენი გუნდი ოვაციით გააცილა. ვფიქრობ, მათ ეს დაიმსახურეს. თვითონ გოგონებმაც ირწმუნეს, რომ დაუმარცხებელი არავინაა და თამაში ყველასთან შეიძლება.

ახლა ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს გოგონებში მორიგი დიდი გამოცდები ელოდებოდა - 18-20 მარტს ჩერნოგორიაში 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში გამოვლენ, სადაც მეტოქეებად მასპინძელთა გუნდი და უკრაინა ეყოლებათ (ფინალში ჯგუფის გამარჯვებული გადის), 4-9 ივლისს კი შედურ გოტებორგში ევროპის ჩემპიონატია 18-წლამდელთა შორის.

ახალგაზრდული რეკორდები

ახალგაზრდა ტყვიის მსროლელები არ ჩერდებიან - თებერვლის ბოლოს ევროპის ჩემპიონატში იასპარეზეს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, სადაც 18 წლის **ცოტნე მაჭავარიანი** რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა, სადაც დედასთან, ლეგენდარულ სპორტსმენთან, ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძესთან** ერთად, იასპარეზეს (ეს პირველი შემთხვევა იქნება ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში, როცა მშობელი და შვილი ერთად გავლენ თამაშებზე, თუმცა, მსგავსი ანალოგი არც მსოფლიოშია ბევრი), სამშობლოში დაბრუნებულები კი, ორიოდ კვირაში, საქართველოს ჩემპიონატში გამოვიდნენ და ერთბაშად რამდენიმე რეკორდი დაამყარეს. მათ შორის - მაჭავარიანმაც, რომელმაც საკუთარი მაჩვენებელი, ამჯერად, 580 ქულამდე გაზარდა. ეს საქართველოს ახალი რეკორდია და რაც მთავარია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. ამ შედეგით მას თავისუფლად შეუძლია, მინიმუმ, ფინალში შესვლა, იქ კი გამოიციხული არაფერია. აღსანიშნავია, რომ ივნისიდან მოყოლებული, მან უკვე მეოთხედ გააუმჯობესა რეკორდი, ანუ მზარდი სპორტსმენია.

კიდევ უფრო საოცარი შედეგი აჩვენა 16 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** - 386 ქულა, რაც ამ ასაკში ფანტასტიკური მიღწევაა. არადა, ქუთაისის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ, ევროპის ჩემპიონატზე, 378 დააგროვა და სულ 2 ქულა დააკლდა ლიცენზიამდე, ახლა კი იმ შედეგს 8 ქულით გადააჭარბა. საწყენია ეს დანაკლისი, თორემ 16 წლისა იასპარეზებდა ოლიმპიადებზე და საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიელი გახდებოდა. მისი წინა რეკორდი 384 ქულა იყო, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ახლანდელი ისეთი თამასაა, ამ ქულებით ხალხი მსოფლიოს ჩემპიონატს იგებს.

საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ერთმა ახალგაზრდამ აჩვენა დიდოსტატური შედეგი - 16 წლის თბილისელმა **მარიამ ღვინიაშვილმა** 380 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამჯერად, შედარებით ცუდად ისროლა და უმეღლოდ დარჩა ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლე **ნინო ხუციბერიძე**, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

იმის მიუხედავად, რომ ეს გოგონები ასაკით ჯერ ძალიან პატარები არიან დიდი შედეგებისთვის, საქართველოს უკვე იმ დონის ქალთა ნაკრები ჰყავს, გუნდურად ნებისმიერი დონის ტურნირზე შეიძლება მედლის მოპოვება: თავად სალუქვაძე, კილაძე, ხუციბერიძე, ღვინიაშვილი... არადა, გუნდში სამი ასპარტსმენი შედის ანუ კონკურენციაც გაჩნდა, თან პერსპექტიული ახალგაზრდები სხვებიც არიან, რომლებსაც ამათი შედეგები სტიმულს მისცემს. ასევე ძალზე რეალურია მედლების მოპოვება ახალგაზრდებშიც არა მხოლოდ გუნდურში, არამედ პირადშიც. გასახარია, რომ პერსპექტიული თაობა ბიჭებშიც გამოჩნდა - შარშან მათ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

რეკორდსმენი მოიხრა

წინა კვირაში ანკარამ მშვილდოსანთა დარბაზის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც წარმატებით გამოვიდა 19 წლის თბილისელი **ვლადიმერ დოლიძე**. ის ახალგაზრდების ტურნირში ასპარეზობდა და, მართალია, მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპზე 585 ქულა დააგროვა და მეოთხეზე გავიდა. ამით მან საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა, რაც მისი ასაკისთვის არაა ურიგო მიღწევა.

სამწუხაროდ, დოლიძე პლეი ოფში წარმატებით ვერ გამოვიდა და პირველივე წრეში 4:6 დამარცხდა სლოვენელი **ზიგა რავნიკარისთან**. როგორც თავად სპორტსმენმა განაცხადა, შესარჩევ ეტაპს დიდი ძალა შეაღია, რადგან ის დროში განელილი პროცესია, ბევრად მეტი გასროლა უნევს და პლეი ოფში დაიღალა, ენერჯია არ იყო.

ვლადიმერ დოლიძე **როზეტა ანთიასთან** ვარჯიშობს და ახალ თაობაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მშვილდოსნად მიიჩნევა. ეტყობა, საცხებით სამართლიანადაც, რაზეც მისი ბოლო მიღწევაც მიუთითებს. ის ჯერ კერძო სკოლა „ინტელექტში“ სწავლობდა, თუმცა ბოლოს საჯარო სკოლაში გადავიდა, რომელიც შარშან დაამთავრა და, სწორედ სპორტის გამო, სწავლაზე ერთნაირი პაუზა აიღო - სურდა, სპორტისთვის მეტი დრო დაეთმო, რათა გაეზარდა შედეგი და ნაკრებში მყარად დამკვიდრებულიყო. საბედნიეროდ, ეს შეძლო და ახლა აპირებს, გაისად ეროვნულ გამოცდებზეც გავიდეს. სწავლის გაგრძელება სპორტის ახალადგენილ უნივერსიტეტში უნდა, ოღონდ კონკრეტულ სპეციალობაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

მშვილდოსნობაში ვაჟებისგან დიდი წარმატებები არასოდეს ვყოფილვართ განებივრებული, თუმცა ახალი თაობა მომავლის დიდ იმედს გვაძლევს. მაგალითად, იმავე ტურნირზე, ანკარაში, საკმაოდ კარგად გამოვიდა კიდევ ერთი ახალგაზრდა, 20 წლის თბილისელი **ზურაბ მესტვირიშვილი**, ვინც საკვალიფიკაციოში 581 ქულა დააგროვა, ოღონდ ის უფროსებში გამოდიოდა. მსგავს შედეგს უფროსებში ერთი-ორი სხვაც აჩვენებს. ახალგაზრდული ნაკრები უკვე საკმაოდ სოლიდური შეიკრა, თუმცა კარგი ისაა, რომ ასაკით ლავირების საშუალება გვაქვს, საჭიროებისას შევვიძლია, ისინი უფროსებსაც დაეხმაროთ.

თუმცა, მშვილდოსნებს და კონკრეტულად დოლიძეს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვთ, რაც ხელს უშლის წარმატებით გამოსვლაში. მაგალითად, დოლიძემ სულ 9 ისრით ვარჯიშობს, რაც ძალზე ცოტაა. თან ისრები მაღე ცვდება. არაფერს ვამბობთ კეთილმოუნყო-



ბელ დარბაზზე, სადაც ზამთარში ვარჯიშობენ, თუმცა ყველაზე უფრო დიდი პრობლემა სოციალური სფეროა - მას არ აქვს თუნდაც 100-ლარიანი ხელფასი. არადა, მაღალი დონის სპორტის ასევე მაღალი დონის საჭიროებებს თავი რომ დაეხეობოთ, სპორტსმენს დარბაზში სავარჯიშოდ მისასვლელად გზის ფული მინც ხომ სჭირდება, დოლიძე კი ყოველ დღე სამგორიდან საბურთალოზე დადის და დღეში 3 საათი ვარჯიშობს. იმედია, მისი და მსგავსი სპორტსმენების პრობლემებს სათანადო ორგანოები დროულად გაიაზრებენ.



ინსტრუქცია (ბზამკვლევი) 2016 წელს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობები. 2009 წლიდან მოყოლებული საქართველოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე (გარდა საშემსრულებლო სპეციალობებისა) სწავლის ვაგრძელების აუცილებელი პირობაა თითოეული მსურველის მიერ სულ ცოტა ორი გამოცდის ჩაბარება. ეს გამოცდებია: საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დანიშნული გამოცდა/გამოცდები (გამოცდა სპეციალობაში, უცხოური ენის გამოცდა და სხვა). სსგ-ის ჩატარებაზე პასუხისმგებელია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ხოლო დანარჩენ გამოცდებზე – შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სსგ-ის ფუნქციები. სსგ, პირველ რიგში, ამოწმებს აპლიკანტის მიერ მოცემულ პროგრამაზე სწავლის ვაგრძელების მინიმალურ შესაძლებლობებს (უზრუნველყოფს მინიმალურ სტანდარტს); გარდა ამისა, სსგ-ზე მიღებული შედეგები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში; და ბოლოს, სსგ-ის შედეგების მიხედვით ხდება სახელმწიფო დაფინანსების (გრანტის) განაწილება.

სსგ-ის ტესტის შემადგენელი ნაწილები, ჩატარების პერიოდი და ხანგრძლივობა. სსგ-ის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია:

- ნაკითხულის გააზრება;
- ანალიტიკური წერა;
- ლოგიკური მსჯელობა;
- რაოდენობრივი მსჯელობა.

2016 წელს გამოცდის ჩატარება იგეგმება ივლისში. გამოცდისთვის გამოყოფილია ორი დღე. პირველ დღეს ჩატარდება გამოცდა ორ ნაწილში: ნაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა; მეორე დღეს კი დარჩენილ ორ ნაწილში: ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა. გამოცდის ხანგრძლივობა თითოეული ნაწილისათვის იქნება 1 სთ და 10 წთ.

სსგ-ის დავალებათა რაოდენობა ტესტის ნაწილების მიხედვით, კომპეტენციის მინიმალური ზღვრები, შეფასების სისტემა და სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის ვაგრძელების აუცილებელი პირობა. სამაგისტრო ტესტის ნაკითხულის გააზრების ნაწილში ნაჯარა-უდევია 20-23 დავალების შეთავაზება, ანალიტიკურ წერაში – 2 დავალების, ლოგიკური მსჯელობის ნაწილში – 17-ის, ხოლო რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილში – 20-ის.

კომპეტენციის მინიმალური ზღვარი თითოეულ ნაწილში, გარდა რაოდენობრივი მსჯელობისა, შეადგენს ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 30%-ს, ხოლო რაოდენობრივი მსჯელობაში – ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 25%-ს. მოცემულ ნაწილში აპლიკანტის მიერ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ჩაითვლება გადალახულად, თუ მან დააგროვა ამ ნაწილის შესაბამისი მაქსიმალური ქულის დადგენილ ზღვარზე მეტი.

სსგ-ის ტესტის სამი ნაწილის (ნაკითხულის გააზრება, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა) თითოეულ დავალებას ახლავს 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0, ან -0,2 ქულით. სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა, თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა, ხოლო არასწორად გაცემული პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ, იწერება -0,2 ქულა). რაც შეეხება ტესტის ანალიტიკური ნაწილის კომპონენტის ორ დავალებას, თითოეული მათგანი სწორდება წინასწარ დადგენილი შეფასების სქემის მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კონკურსში მონაწილეობის ვაგრძელებისათვის აუცილებელია სსგ-ის ბარიერის დაძლევა, რაც გულისხმობს სავარაუდო ტესტის 4 ნაწილისაგან რომელიმე 3-ში მინიმუმ კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას. ამასთან, უმაღლესი სასწავლებელს შეუძლია: ა) თვითონ დაანუსხოს ის 3 ნაწილი, რომელშიც მოითხოვს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვას, ბ) მოითხოვოს კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა ტესტის ოთხივე ნაწილში, გ) დაანუსხოს კომპეტენციის უფრო მაღალი მინიმალური ზღვარი ტესტის ერთი, რამდენიმე, ან ყველა ნაწილისათვის.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პრინციპი. ჩარიცხვის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს სსგ-ის ბარიერგადალახული აპლიკანტები სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხოს მხოლოდ მის მიერ დანიშნული გამოცდის/გამოცდების შედეგების მიხედვით ან სსგ-ის შედეგებისა და მის მიერ დანიშნული გამოცდა/გამოცდის შედეგების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასწავლებელი საჭიროდ მიიჩნევს ჩარიცხვის პროცესში სსგ-ის შედეგების გათვალისწინებას, სასწავლებელი სსგ-ს და გამოცდას სპეციალობაში ანიჭებს გარკვეულ კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლი უნდა იყოს. ამასთან, სსგ-სათვის მინიჭებული კოეფიციენტი უნდა ნაწილდებოდეს ტესტის ოთხივე ნაწილზე (თითოეული ნაწილისათვის მისანიჭებულ კოეფიციენტს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მაგრამ ეს კოეფიციენტი თითოეული ნაწილისათვის არანაკლებ 5-ის ტოლი უნდა იყოს). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკონკურსო ქულის დაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპის მიხედვით: სსგ-ის თითოეული ნაწილისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ნორმირებული ქულები (მიღებული შეფასება გაყოფილი მაქსიმალურ ქულაზე) მრავლდება შესაბამისი კოეფიციენტებზე და ჯამდება.

საგრანტო ქულის დაანგარიშების წესი. გრანტის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებმაც წარმატებულად გაიარეს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის კონკურსი. მაგისტრანტობის მსურველის საგრანტო ქულა წარმოადგენს მის მიერ ტესტის ოთხივე ნაწილში მიღებულ ნორმირებულ ქულათა ჯამს, გამრავლებულს გარკვეულ, ფიქსირებულ, მთელ დადებით რიცხვზე.

2016 წელს გამოცდაზე გასატანი ტესტების აღწერა ტიპების მიხედვით

2016 წელს სამაგისტრო გამოცდაზე, მიმართულების მიხედვით, შეთავაზებული იქნება სამი სხვადასხვა – **A, B და C – ტიპის ტესტი**. მაგისტრანტობის თითოეულმა მსურველმა ამ სამიდან გამოცდაზე უნდა შეასრულოს მხოლოდ ერთი ტიპის ტესტი.

A, B და C – ტიპის ტესტიდან თითოეული, ისევე, როგორც გასულ წლებში, შედგენილი იქნება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: ნაკითხულის გააზრება; ანალიტიკური წერა; ლოგიკური მსჯელობა; რაოდენობრივი მსჯელობა. განვიხილოთ ეს ნაწილები ცალ-ცალკე.

ნაკითხულის გააზრება. ტესტის ეს ნაწილი სამივე – **A, B და C – ტიპის ტესტში** ერთი და იგივე იქნება.

ანალიტიკური წერა. გამოცდაზე გავა ანალიტიკური წერის ნაწილის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტი შედგენილი იქნება ორი კომპონენტისაგან: „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“, ხოლო მეორე ვარიანტი – შემდეგი ორი კომპონენტისაგან: „გადანწყვეტილების დასაბუთება“ და „მსჯელობის ანალიზი“.

ლოგიკური მსჯელობა. ტესტის ეს ნაწილი სამივე – **A, B და C – ტიპის ტესტში** ერთი და იგივე იქნება.

რაოდენობრივი მსჯელობა. გამოცდაზე გატანილი იქნება რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილის ორი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც განსხვავებული იქნება სირთულის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ №1 ცხრილში მოცემულია ზემოთ ნახსენები სამი სხვადასხვა ტიპის ტესტისა და მათი შემადგენელი ნაწილების აღწერა.

შენიშვნა:

ა) „ნაკითხულის გააზრების“ სვეტში RC აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელიც ერთი და იგივე სამივე ტიპის ტესტში.

ბ) „ლოგიკური მსჯელობის“ სვეტში LR აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ერთადერთ ვარიანტს, რომელიც ერთი და იგივე სამივე ტიპის ტესტში.

გ) „ანალიტიკური წერის“ სვეტში AW1 აღნიშნავს ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“, ხოლო AW2 – ამ ნაწილის იმ ვარიანტს, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „გადანწყვეტილების დასაბუთება“ და „მსჯელობის ანალიზი“.

დ) „რაოდენობრივი მსჯელობის“ სვეტში QR1 აღნიშნავს ამ ნაწილის შედარებით მარტივ ვარიანტს, ხოლო QR2- იმავე ნაწილის შედარებით რთულ ვარიანტს.

ცხრილი №1

ტესტის ტიპი	ნაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა
A	RC	AW1	LR	QR1
B	RC	AW1	LR	QR2
C	RC	AW2	LR	QR1

მაგალითისათვის, **B** ტიპის ტესტი შედგება: ნაკითხულის გააზრებისა და ლოგიკური მსჯელობის იმ ვარიანტებისაგან, რომლებიც ერთი და იგივე სამივე ტიპის ტესტში; ანალიტიკური წერის იმ ვარიანტისაგან, რომლის შემადგენელი კომპონენტებია „თემა მოცემულ საკითხზე“ და „მსჯელობის ანალიზი“; რაოდენობრივი მსჯელობის შედარებით რთული ვარიანტისაგან.

რეგისტრაციის დროს საგამოცდო ტესტის ტიპის შერჩევა

განაცხადის შევსებისას აპლიკანტმა აუცილებლად უნდა მოუთხოვოს ტესტის ის ტიპი, რომელიც შეესაბამება აპლიკანტის მიერ არჩეულ სამაგისტრო პროგრამას. საერთო სამაგისტრო გამოცდაზე აპლიკანტს მოუწევს სწორედ მის მიერ შერჩეული ტიპის ტესტის შესრულება.

სიახლე!

2016 წელს შეტანილი ცვლილებები:

➢ იცვლება საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების ფორმა, რაც გამოიხატება გამოცდების ნაწილობრივ ელექტრონული ფორმით ჩატარებაში – სამაგისტრო გამოცდებში გამოსაყენებელი ტესტური დავალებები, ნაცვლად წერილობითი ფორმისა, იქნება ელექტრონული ფორმით და განთავსებული იქნება სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში. მაგისტრანტობის კანდიდატი სამაგისტრო გამოცდის ტესტირების მიმდინარეობისას განთავსდება მისთვის განკუთვნილ მერხთან, რომელიც აღჭურვილი იქნება კომპიუტერით, სადაც ჩანერილ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში განთავსებული იქნება ტესტური დავალებები. შესაბამისად, აპლიკანტი ტესტური დავალებების შინაარსს გაცნობა კომპიუტერში, ხოლო ტესტურ დავალებებზე სავარაუდო სწორი პასუხების დაფიქსირებას შეძლებს არსებული მეთოდით – კერძოდ, წერილობითი ფორმით, მისთვის გადაცემულ პასუხების ფურცელში.

➢ ნაცვლად არსებული 11-ისა, განისაზღვრა მაგისტრატურის 12 საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება (მიმართულება „მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკა“ გაიყო ორ ნაწილად. ის ცხრილი 2).

➢ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებათა შორის დარგების ან სპეციალობების ქვე-დარგებზე/სპეციალიზაციებზე, მათი შინაარსის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია დადგინდეს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის რამდენიმე ტიპი. ამრიგად, აღნიშნულ სპეციალობებზე შესაძლებელი იქნება ჩარიცხვა სხვადასხვა (წინასწარ დადგენილი) ტიპის ტესტის ჩაბარების შემთხვევაში, თუმცა, თითოეული აპლიკანტი კვლავ აბარებს მხოლოდ ერთი ტიპის ტესტს.

➢ ამასთან, თუ კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე დადგენილია საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის რამდენიმე ტიპი და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სსგ-ს მიანიჭა კოეფიციენტი (იხ. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის პრინციპი), შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ტესტის თითოეული ტიპის შესაბამისად ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში, თუ შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე სსგ-ს ტესტის ტიპის შესაბამისად ადგილები არ შეივსო, მაშინ დარჩენილი ადგილების შევსება ხდება შემდეგი წესით:

ა) თუ პროგრამისათვის განსაზღვრულია სსგ-ს ორი ტიპის ტესტი, ადგილები შეივსება იმ კანდიდატებით, რომლებმაც ჩააბარეს სსგ-ს მეორე ტიპის ტესტი;

ბ) თუ პროგრამისათვის განსაზღვრულია სსგ-ს სამი ტიპის ტესტი, ადგილები შეივსება ამ პროგრამისთვის დადგენილი სსგ-ს ტესტის ტიპებისთვის წინასწარ განსაზღვრული ადგილების პროპორციულად იმ მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ, რომლებმაც ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდის სხვა ტიპის ტესტი. თუ პროპორციულად ადგილების სრულად გადაწინააღმდეგება შეუძლებელია, მაშინ გადაწინააღმდეგება შემდეგ დარჩენილი ადგილები შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

➢ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აღარ უზრუნველყოფს მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის სამაგისტრო-საიდენტიფიკაციო ბარათების დაბეჭდვას და გადაცემას. მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალური პროგრამის გამოყენებით, მათ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი კოდის გამოყენებით, თავად შეძლებენ შესაბამისი სამაგისტრო-საიდენტიფიკაციო ბარათების ამობეჭდვას.

➢ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდიდან გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში. ➢ მაგისტრანტობის კანდიდატს აქვს უფლება საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს პირველი ივნისისა, შეცვალოს სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

საგრანტო კონკურსი. სახელმწიფო გრანტი გაცივება სსგ-ის შედეგების მიხედვით მხოლოდ აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულთათვის. ამასთან, კონკურსში გამარჯვებული ის აპლიკანტი, რომელმაც სურვილი აქვთ გააგრძელონ სწავლა ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც სწავლის ღირებულება არ აღემატება 2250 ლარს, სწავლის ორი წლის მანძილზე ფინანსდებიან სრულად, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებულ აპლიკანტებს გრანტის სახით წელიწადში (სწავლის ორი წლის მანძილზე) ექვსჯერ 2250 ლარი. 2016 წელს დადგენილია 12 საგანმანათლებლო მიმართულება. თითოეული მიმართულებისათვის დადგენილია მთელი თანხის ის ნაწილი, რითაც ეს მიმართულება დაფინანსდება. მთელი თანხის 39,96% თანაბრად განაწილდება მიმართულებებზე (თითოეული მიმართულებისათვის ეს შეადგენს 3,33%-ს), ხოლო დარჩენილი 60,04% კი განაწილდება ე.წ. პრიორიტეტების მიხედვით. საერთო ჯამში თითოეული მიმართულებისათვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება ამ თანხების ჯამით. საგრანტო კონკურსში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ ის აპლიკანტები, რომელთა მიერ არჩეული სამაგისტრო პროგრამები ერთსა და იმავე მიმართულებას მიეკუთვნება, რაც მაქსიმალურად გამოიხატება იმის საშუალებას, რომ (ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში) შესაძლოა დაფინანსებული იყოს მხოლოდ რამდენიმე სპეციალობა, სპეციალობათა დღივ განისაზღვრულია დაფინანსების გარეშე. შეგნიშავთ, რომ ყოველ კონკრეტულ მიმართულებაში მოხვედრილ თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები აბარებენ ერთსა და იმავე ტიპის ტესტს, თუმცა არსებობს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულება, სადაც ერთი და იმავე ტიპის ტესტი ბარდება.

ქვემოთ მოცემულ №2 ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მთელი საგრანტო თანხის განაწილება როგორც თანაბარი პრინციპით, ასევე პრიორიტეტების მიხედვით. ამავე ცხრილში მოცემული კონკრეტული მიმართულებისათვის მითითებულია სსგ-ის ტესტის ის ტიპი, რომელსაც აბარებენ მოცემულ მიმართულებაში მოხვედრილ სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველები.

ცხრილი №2

მიმართულება	ტესტის ტიპი	თანხის განაწილება		
		მთელი თანხის 39,96%-ის თანაბრად განაწილება	მთელი თანხის 60,04%-ის განაწილება მიმართულების მიხედვით	მთელი თანხის პროცენტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (გარდა ფიზიკისა)	A	3,33%	9,07%	12,40%
ჯანდაცვა	A	3,33%	1,17%	4,50%
ჰუმანიტარული	A	3,33%	6,07%	9,40%
ხელოვნება	A	3,33%	0,67%	4,00%
აგრარული	A	3,33%	2,17%	5,50%
განათლება	A	3,33%	6,07%	9,40%
სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	A	3,33%	8,57%	11,90%
საინჟინრო (გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა)	B	3,33%	9,57%	12,90%
ინფორმაციული ტექნოლოგიები	B	3,33%	5,87%	9,20%
ბიზნესი და ეკონომიკა	B	3,33%	5,07%	8,40%
ფიზიკა, მათემატიკა	B	3,33%	2,67%	6,00%
სამართალი	C	3,33%	3,07%	6,40%

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მაგისტრანტობის თითოეულ კანდიდატს უსურვეს წარმატებას საერთო სამაგისტრო გამოცდაზე!

